გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№356 (415) 22-29 მარტი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## როლანდ ჯალაღანია — “რესპებს” ალბათ მალე გაიტანენ პოლიტიკური ავანსცენიდან



თუ “ქართული ოცნება” კოალიციაში “რესპუბლიკელებს” შეიყვანს, გამორიცხული არ არის, რომ მან ეს არჩევნები სასტიკად წააგოს, რადგან ქართველი ხალხი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნაცებიცა და რესპებიც ერთი “იმით” არიან გაკეთებულები და ერთიდაიგივე პოლიტიკურ კურსს მიჰყვებიან, რაც მიუღებელია სრულიად საქართველოსათვის.

გვ.2




## ნარგიზა ბასარია: ეს არ არის „მეგრული სეპარატიზმის ნახალისება, რომელიც თითქოსდა მოსკოვიდან იმართება”

გვ.4

## იზა თამაზაშვილი: ამერიკა რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს!

გვ. 8

## დენიზა სუმბაძე: მცხეთა — მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

..მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე 2012 წლის 21 თებერვალს, ისრაელის პრეზიდენტთან, შიმონ პერესთან საუბარში, პირდაპირი ეთერით, მთელი მსოფლიოს გასაგონად უცხადებს ისრაელის პრეზიდენტს: „ჩვენ, ქართველები და ებრაელები, არა მხოლოდ ტრადიციებით ვართო მახლობელნი, არამედ სისხლითაც“...

გვ.6

## ანზორ დანელია — ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ დავით უსუფაშვილს

გვ.3



## ტერენტი გრანელი: მითი და სინამდვილე

“მძიმე იყო ტერენტი გრანელის ცხოვრება, ავი დროებით სიცოცხლეგამწარებულს, არც იმ სოფლად დაკლებია დევნა — სატანის მსტოვრები მისი სახელის აღმოფხვრასაც კი ცდილობდნენ, მაგრამ ღვთიური ხვედრით წილხვდომილმა საუკუნოვანი ომი გადაიხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან — დროსთან და სძლია იგი: მისმა ნაგვემმა სულმა ლოცვით გამოაღწია მეოცე საუკუნის მშფოთვარებასა და ულმერთოებას და, გაწმინდანებული, ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან ლეგენდად მდგარი, განახლებულის ძალითა და რწმენით გვიხმობს ახალ საუკუნესთან მისაახლებლად”.

გვ.7




## მიხეილ ჯიბუტი: რატომ გაქრა ლარის ახალ კუპიურებზე სახელმწიფო-საქართველოს სახელი!?

გვ.4

## ალ. კაკულია — სვატოპლუკ ჩეხის წიგნი საქართველოზე

გვ.9

# “რესპებს” ალბათ მალე გაიტანენ პოლიტიკური ავანსცენიდან — “გრელანდიასავით”!

***“არ ვიცი, რატომ ვერ იპოვა თოფაძემ პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრზე თავდასხმის გარდა, პარლამენტში დარჩენის სხვა გზა”***

***“არავინ უწყის ვინ და როგორ გამოიყენებს საგარეჯოს ეპიზოდს მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ “რესპუბლიკელების” წინააღმდეგ”***

ნოდარ დუმბაძის **“თეთრი ბაირაღების”** ერთ-ერთმა მოქმედმა პირმა, პატიმარმა ტიგრან გულოიანმა ვერ მოითმინა თანასაკნელი ჭეიშვილის არაკაცობა და პირში მიახალა: **“კი ვიცოდი, რომ ფურუნკული იყავი, მაგრამ არ მეგონა, ასე ადრე თუ გასკდებოდი”-ო.**

დაახლოებით იგივე ტირადას უძღვნიან პარლამენტში ივანიშვილის **“ზეჭებით”** შეტანილ რესპუბლიკელებს ნორმალური ქართველი ადამიანები, რადგან **“ნაცმოძრაობის”** პოლიტიკური გეზის გამგრძელებელ **“რესპებს”** პარლამენტში ყოფნის განმავლობაში საქართველოსათვის ხელსაყრელი არცერთი კანონი არ მიუღიათ. სწორედ ამან გამოიწვია **“ნაციონალების”** სატანური ანასხლეტის — ავადსახსენებელ **“თავისუფლების ინსტიტუტის”** მიერ ხელდასხმული **“რესპუბლიკელების”** მიმართ პროგრესული ქართული საზოგადოების ზიზღი და უნდობლობა, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ **“რესპები”** სწორედაც რომ გაპედერასტებულმა ევრო-ამერიკელებმა **“გააჯეჯილეს”** იმიტომ, რომ ნაცების მიერ დაწყებული საქართველოს სულიერი, რელიგიური და ეთნიკური განადგურების პროცესი **“წარმატებით”** მიიყვანონ ბოლომდე. დიახ, სწორედ პოლიტიკურ **“ხანუმებად”** ქცეულმა ევრო-ამერიკელებმა შეუთითხნეს სახე დემოკრატიის ფერუმარილით სიყალბისა და სიმახინჯის განსახიერებად ქცეულ **“რესპუბლიკელებს”** და პოლიტიკურად დააქორწინეს ისინი ბიძინა ივანიშვილზე, რადგან სხვა გზა **“რესპების”** პოლიტიკური რეანიმაციისა, უბრალო, არ არსებობდა. ახლა კი იმდენად გათავხედდნენ ეს უტიფრები, რომ სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე შეიძლება ისიც განაცხადონ: **“სააკაშვილის რეჟიმისგან ქვეყანა ბიძინა ივანიშვილმა კი არა, ჩვენ გადავარჩინეთ და კოალიციაც ჩვენ შევქმენითო”.**

მოკლედ, ჟურნალისტ იზა თამაზაშვილის თქმისა არ იყოს, **“ივანიშვილმა ერთხელ მოსვლით დიდი პოლიტიკური ფუნა შეიტანა პარლამენტში პრეზიდენტის ჩათვლით”.** ამის შემდეგ, ქართულსახედაკარგულმა ბერძენიშვილებმა, ხიდაშლებმა, კორძაიებმა და სხვა განტვინულმა რესპებმა ირწმუნეს, რომ მათ გამარჯვება საკუთარმა მაღალმა რეიტინგმა მოუტანა და ჭაობის გომბეშოებივით გაიბღინძნენ, მაგრამ, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებისთანავე იგრძნეს საკუთარი უსუსურობა და არჩევნების წაგების შიშით იმდენად გასაცოდავდნენ, რომ ლამისაა თავი შეგვაბრალონ. მაგრამ, არ შეიძლება რესპების შებრალება და ნდობა, რადგან მთელი მათი პოლიტიკური რეიტინგი მხოლოდ სიცრუეს, ყოველივე ეროვნულის უარყოფასა და სიყალბეს ეფუძვნება, სიყალბე და ორპირობა კი, არასოდეს **“მიგვიყვანს ტაძრამდე”!**

დეპუტატების ნაწილი დღეს მიიჩნევს, რომ კოალიციაში შემავალმა სუბიექტებმა არჩევნებში ცალ-ცალკე უნდა იყარონ კენჭი, რაც გარდაუვალი პოლიტიკური გარდაცვალების ტოლფასი გახლავთ აბსოლუტურად ურეიტინგო რესპუბლიკელებისათვის. ამის მიზეზი კი მრავალია. თუნდაც ის, რომ გათავხედებულმა **“რესპუბლიკელებმა”** ავადსახსენებელ დაშნაკ **“ნაცებთან”** საიდუმლო კავშირების გაბმით შემოგვიცურეს ე.წ. **“ანტიდისკრიმინაციული კანონი”**, რომელიც ყოველივე ლამაზი ქართული ტრადიციის, მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ტოლერანტობის დისკრიმინაციას ნიშნავს. ხელისუფლებამ ხალხის გულის მოსაგებად მიიღო კანონი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, რასაც სრულიად მოულოდნელად მოჰყვა ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთხმად მიღება პარლამენტში, ანუ გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობა დავაკანონეთ. და ყოველივე ეს **“რესპუბლიკელების დამსახურებაა”.** მათვე მოინდომეს საშუალო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ევროამერიკული პედერასტური ღირებულებების მქონე სენტენციების დამკვიდრება, მაგრამ აქ უკვე მყარ საპროტესტო კედელს მიახალეს თავები...

მოკლედ, როგორც ტიგრან გულოიანი იტყოდა: **“ფურუნკული უკვე გასკდა”** და რესპუბლიკელების პოლიტიკური მომავალიც დიდი კითხვის ქვეშ დადგა, მიუხედავად იმისა, რომ **“ოცნებასთან”** ხელშეკრულება გააფორმეს სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე. ახლა თვით ევროამერიკელებიც დარწმუნდნენ, რომ ახალი კოალიციის შემადგენლობაში რესპების შეყვანამ შეიძლება კოალიციის სრული კოლაფსი გამოიწვიოს და ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ევროამერიკელთათვის არასასურველი პოლიტიკური ძალები. ამიტომ, მოძალადე მელიისა და უსამართლოდ დაჩაგრული ჩიტის იგავისა არ იყოს, ყველაფრის მკადრებელი ამერიკელები მზად არიან საქართველოში შერყეული რეპუტაციის გადარჩენის სანაცვლოდ მდევარს გადაუგდონ ბარტყი, რომელსაც **“რესპუბლიკური პარტია”** ჰქვია.

როგორც იულიუს კეისარმა სთქვა რუბიკონის გადალახვის წინ, სავარაუდოა, რომ საპარლამენტო პოლიტიკური **“წილი უკვე ნაყარია”!**

იგრძნეს უკვე კრახის მოახლოება **“რესპუბლიკელებმა”** და საკმაოზე მეტად გაუფუჭდათ საზეიმო განწყობა — იციან, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა მათ სახეიროს ვერაფერს მისცემს და ამიტომაც გადაერთვნენ **“პატრიოტულ”** ტალღაზე. მათი თავდაცვის მინისტრი დედაკაცი ვეღარ ხუნტრუცებს ძველებურად და მისი სიცილი ტირილს უფრო ჰგავს და არა სხვის ტრამვაიში უფასოდ მგზავრობის მსურველი კურდღლის **“აღტაცებას”!** ვერც ძმები ბერძენიშვილები ლანძღავენ ძველებური მონდომებით ილია ჭავჭავაძეს და გულმხურვალე ქართველ პატრიოტებს! ხოლო ის, რომ **“რესპები”** წმინდა სულის ხალხი რომ არ არიან, იმითაც დასტურდება, რომ მათ დასაცავად აღსდგა ნაცტელერუპორი **“ცრუსთავი-2”.**

სწორედ ამ ტელეარხმა მისცა საშუალება მინისტრ-დედაკაცს, რომ ამა წლის 1 თებერვალს გამოსულიყო ეთერში და სულ **“ფრანციცულად”** ელანძღა გოგი თოფაძე და უტიფრად გაესვა ხაზი რესპუბლიკური პარტიის **“დამსახურებაზე”** ერისა და ბერის წინაშე.

გოგი თოფაძის თქმით კი, მმართველი გუნდის მთავარი შეცდომა კოალიციაში რესპუბლიკური პარტიის არსებობაა. “**ყველაზე დიდი შეცდომა და დანაშაული არის ის, რომ კოალიციას მართავენ რესპუბლიკელები. მათი პრეტენზიები და ამბიციები კოალიციამ ვერ დააწყნარა. არიან ამბიციურები, სურთ, თავიანთი გაიტანონ ყველაფერში. მათ სურთ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება საქართველოში, რასაც, ბუნებრივია, ვეწინააღმდეგებით**”, — აცხადებს თოფაძე.

ამრიგად, **“რესპების”** ბუნდოვანი პოლიტიკური მომავლის თვალნათელი დასტური გახლავთ ის, რომ კოალიციის წევრების შეხვედრა ლიდერ გიორგი კვირიკაშვილთან უკვე შედგა, თუმცა პოლიტსაბჭოს სხდომის თარიღი ჯერ გაურკვეველია — პრემიერ გიორგი კვირიკაშვილთან ფრაქციების შეხვედრის მიუხედავად, ჯერ კიდევ უპასუხოდ რჩება კითხვა — თოფაძე თუ **“რესპუბლიკელები”**,— ვინ დატოვებს კოალიციის რიგებს?

ფაქტია და ამას ფრაქცია **“ქართული ოცნების”** თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ვოლსკიც ადასტურებს, რომ პოლიტსაბჭოს დღის წესრიგში მხოლოდ ორი პარტიის ან ფრაქციის დაპირისპირებაზე მსჯელობა არ იქნება და გუნდს გოგი თოფაძის საგარეო ორიენტირებში გარკვევა მოუწევს. გოგი თოფაძემ კი ყველას დაასწრო და საგარეო სიმპათიებზე კითხვას ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში დაახლოებით ამ პათოსით უკვე უპასუხა — 2012 წელს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებას ხელი კი მოვაწერე, ორი წელი ჩუმადაც ვიყავი, მაგრამ ხომ ხედავთ, თავად **ნატო** გვეუბნება ინტეგრაციაზე მტკიცე უარს და მეც აღარ დავდუმდები, რადგან მათხოვრის პოზაში დგომა სრულიადაც არ მსიამოვნებსო.

იყო მოლოდინი, რომ **“ქართული ოცნების”** პოლიტსაბჭოს სხდომა მიმდინარე წლის თებერვლის მიწურულს ჩატარდებოდა, თუმცა იგი რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარდა და მისმა დადგენილებამ კიდევ უფრო მეტი კითხვები გააჩინა.

ისმის კითხვა: რატომ? — სავარაუდოდ, კოალიციის ვნებების ჩაცხრომას ელოდებიან, რაც ობიექტური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გააჩენს.

დიდი ალბათობით, საბოლოოდ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე იქნება ბევრი რამ დამოკიდებული, თუმცა მისი დაპირების მიუხედავად, რომ საარჩევნო პროცესებში აქტიურად ჩაერთვებოდა, თითქოს ამას არ ჩქარობს, თუმცა გაზეთ **“კვირის პალიტრისთვის”** მიცემულ ინტერვიუში სხვაგვარ აზრს გამოთქვამს ექსპერტად წოდებული **სოსო ცისკარიშვილი:**

— ბატონი ბიძინა რომ სიტყვის კაცია, ეს ყველამ კარგად უწყის და, ჩემი აზრით, უკვე აქტიურად არის ჩართული საპარლამენტო წინასაარჩევნო პროცესებშიც. ამ დასკვნას ვაკეთებ **“ქართული ოცნების”** ზოგიერთი წარმომადგენლის ქცევის ანალიზიდან. ეს ხალხი აქამდე თუ ფიქრობდა, რომ საპარლამენტო სავარძლის შესანარჩუნებლად საკმარისი იყო უკმეხი განცხადებების პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ კეთება, ეს ახლა, როგორც ჩანს, საკმარისად აღარ მიაჩნიათ და თავდასხმის ობიექტად **“რესპუბლიკური პარტია”** შეარჩიეს. ახლა მის **“მიჯირყვნას”** ცდილობენ. ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთმა უერთგულესმა პარლამენტარმა ისიც ბრძანა, გავიდეს კოალიციიდან რესპუბლიკური პარტია, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ვნახოთ, რა პრეტენზიები ექნება აღმასრულებელ ხელისუფლებაზეო. ამგვარი არაკომპეტენტური მიდგომა კიდევ უფრო აკნინებს მისი ავტორის ისედაც დაბალ რეიტინგს. იმის მოწმენი ვართ, რომ ქვეყნის თავდაცვის მინისტრის აუგად მოხსენიების განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ ვერ იპოვა თოფაძემ პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრზე თავდასხმის გარდა, პარლამენტში დარჩენის სხვა გზა. ეს ჩემთვის მხოლოდ სინანულის მომგვრელია. მას ნამდვილად უნდა ეგულებოდეს სხვა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც პირველ სამეულში სიამოვნებით დაუთმობენ ადგილს.

**— რაზე მიანიშნებთ, რესპუბლიკური პარტიის საწინააღმდეგო გამოსვლების უკან შეიძლება “ლოკომოტივი” ბიძინა ივანიშვილი იდგეს?**

— დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილი არავის უკან არ დგას, ეს მის უკან ცდილობს ადგილის შენარჩუნებას ზოგიერთი, რადგან დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ **“ქართული ოცნების”** საპარლამენტო დეპუტაციის ნახევარიც ვეღარ მოხვდება მომავალ საარჩევნო სიაში. ისინი, ვინც ივანიშვილის უკან არიან ჯერჯერობით მოკალათებულნი, ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს, მაგრამ სულ შიში აქვთ, არ დაკარგონ ეს ადგილი და ამისთვის იბრძვიან ახლა გააფთრებით.

ავადსახსენებელი ნაცებისადმი ლოიალურად დამოკიდებული ცისკარიშვილი ახლაც ვერ მალავს წყენას კოალიცია **“ქართული ოცნებისა”** და პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომელმაც მას თანამდებობა არ შესთავაზა მთავრობაში და ამიტომაც, ბიძინას ჯიბრზე, ცდილობს ქვეყნის დამაქცევარი **“რესპუბლიკელებს” “გათეთრებას”,** მაგრამ ამ **“ექსპერტად”** წოდებულ აშკარად ანგაჟირებულ ტიპს რატომღაც არ სურს გაიხსენოს ძველი ქართული თქმა: **“არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა”!**

რაც შეეხება **“რესპუბლიკელების”** პოზიციას, ნაკლებად სავარაუდოა, მათ გოგი თოფაძის შემოტევებისაგან უკან დაიხიონ. თუ კოალიციაც მათ პოზიციას გაიზიარებს და თოფაძეს გაერთიანების დატოვება მოუწევს, ამ შემთხვევაში მთავარია, რა პოზიციას დაიკავებენ **“მრეწველების”** დანარჩენი წევრები — სკანდალური განცხადებებით გამორჩეულ ლიდერს სოლიდარობას გამოუცხადებენ თუ **“ოცნებისტების”** გაერთიანებაში მის გარეშე დარჩებიან? პარტიის წევრების განცხადებებს თუ გავითვალისწინებთ, ფაქტია, რომ აზრი ამ შემთხვევაშიც ორად გაიყო. არ არის გამორიცხული გოგი თოფაძესთან ერთად პოლიტიკიდან მისი დიდი ხნის მეგობარი ზურა ტყემალაძეც წავიდეს, დანარჩენი წევრები კი, მათ შორის, გიორგი კახიანი **“ქართული ოცნების”** რიგებში დარჩნენ.

ჭეშმარიტად ამოუცნობია პოლიტიკურ გაერთიანებათა ხვალინდელი დღე, ისევე, როგორც ამოუცნობია მაღალი ძალების მიერ მითითებული ღვთიური გზა...

ვიდრე გოგი თოფაძის პოლიტიკაში ყოფნა-არყოფნის საკითხი გაირკვევა, შესაძლოა გუნდი **“რესპუბლიკელებთან”** დაპირისპირებული სხვა პოლიტიკოსებისგანაც **“გაიწმინდოს”.** დიდი ალბათობით, ახალ სიაში ვეღარ მოხვდებიან ზაზა პაპუაშვილი და ნუკრი ქანთარია, რომლებიც პარტნიორ პარტიას ღიად დაუპირისპირდნენ და მათი წარსული პოლიტიკური რეიტინგიც **“რატომღაც”** დღეს გაიხსენეს. როგორც წესი, მსგავსი **“აჯანყებები”** პოლიტიკაში შემთხვევით არ ხდება. ცნობილია, რომ დღეს **“ოცნებისტთა”** კოალიციაში **“რესპუბლიკელების”** წინააღმდეგ საკმაოდ მძლავრი ჯგუფი მუშაობს. ადრე ამ ჯგუფის ლიდერად ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოიაზრებოდა, მართალია, პარლამენტის საღად მოაზროვნე ნაწილს დღეს გიორგი კვირიკაშვილის სახით ახალი **“ხელმძღვანელი”** აღარ ჰყავს, თუმცა **“რესპუბლიკურ პარტიასთან”** დასაპირისპირებლად ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ბერკეტებს ფლობენ.

**“რესპუბლიკელების”** წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის გამოვლინებად შეგვიძლია მთავარი პროკურატურის გადაწყვეტილებაც მივიჩნიოთ. ეს ეჭვი განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც საგარეჯოს არჩევნების შედეგების გამოძიების დაანონსებამ **“რესპუბლიკელები”** აშკარად ააფორიაქა. ბევრს ამ პროცესმა **“თავისუფალი დემოკრატები”** და კოალიციიდან მათი წასვლის წინა პერიოდი გაახსენა. თუმცა დავით ბერძენიშვილმა ირაკლი შოთაძის უწყებას ამ სიტყვებით გააფრთხილა: **“ფიქრი, რომ ბარემ ხიდაშელი გადადგეს, ასეთ სისულელებს ნუ ელოდებიან, რადგან ასეთ რაღაცას ადგილი არ ექნება. არც თინა და არც თამარ ხიდაშელი არასოდეს არ გადადგებიან...”** პრინციპში **“რესპუბლიკელების”** ნერვიულობა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს — არავინ უწყის ვინ და როგორ გამოიყენებს საგარეჯოს ეპიზოდს მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ **“რესპუბლიკელების”** წინააღმდეგ...

ამრიგად, თუ **“ქართული ოცნება”** კოალიციაში **“რესპუბლიკელებს”** შეიყვანს, გამორიცხული არ არის, რომ მან ეს არჩევნები სასტიკად წააგოს, რადგან ქართველი ხალხი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნაცებიცა და რესპებიც ერთი **“იმით”** არიან გაკეთებულები და ერთიდაიგივე პოლიტიკურ კურსს მიჰყვებიან, რაც მიუღებელია სრულიად საქართველოსათვის. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ დახრჩობისაგან **“რესპუბლიკელების”** გადასარჩენად წყალში გადამხტარი მაშველი **“ოცნებისტები”** თავადვე შეიქმნან საკუთარი ინიციატივის მსხვერპლნი და **“რესპებთან”** ერთად ჩაიხრჩონ პოლიტიკური მორევის ზვირთებში. არადა, რესპუბლიკელები, რომელთაც კარგად იციან საკუთარი მწირი პოლიტიკური შესაძლებლობები, კვლავაც ცდილობენ უკანა კარიდან შეძვრნენ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ ახალ კოალიციაში, რადგან ინდივიდუალურად არჩევნებში გასვლის შემთხვევაში მათი წარმატების შანსი, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, პრაქტიკულად ნულს უტოლდება.

ხოლო, თუ **“რესპები” “ოცნებისტების”** კოალიციის პოლიტიკური მჭიდიდან ამოვარდებიან, ეს უკვე მათთვის პოლიტიკური ხარაკირის ტოლფასი იქნება და მათ მხოლოდ კუბოთი თუ შეიტანენ პარლამენტში, თორემ სხვაგვარად ისინი ვერასოდეს ეღირსებიან საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრას.

ეს კი უკვე იმის დასტური გახდება, რომ, საქართველო საკუთარი ტრადიციებისა და ეროვნული ფასეულობების ერთგული დარჩება და საბოლოოდ შეაქცევს ზურგს გაპიდარასტებულ ევროამერიკელებს!

**როლანდ ჯალაღანია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

# კანონპროექტი საკუთარი მოსახლეობის უმიწაწყლოდ, უსამშობლოდ და უპატრონოდ დატოვების, ანუ გენოციდის შესახებ?

ამ ჩემთვის სრულიად არასასურველი საგაზეთო წერილის დაწერა, მრავალი წლის მანძილზე ყელში წაჭერილმა ვითარებამ, ქვეყნის მოსახლეობის მიმართ განხორციელებულმა ვანდალიზმმა და ამ უკანასკნელად საქართველოს მთავრობის რომელიღაც **"ყველაზე ჭკვიანი"** წარმომადგენლების მიერ შედგენილი მიწის კანონპროექტის გახმიანებამ მაიძულა. აი, რა უნდა გამოვხატო მასში:

ხალხის მასებს, დედამიწაზე, ბედნიერად თითქმის არასდროს უცხოვრია, ვინაიდან ერთეული ადამიანების მხრივ ძალმომრეობა მისი ცხოვრების შეუცვლელი პირობა გახდა. ძალმომრეობდნენ ფიზიკურად ძლიერი ადამიანები შედარებით სუსტებზე ველურობისა და პირველყოფილ-თემური წყობილების დროს. ძალმომრეობდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მონათმფლობელობის, ბატონყმობის, კაპიტალისტური წყობილების დროს და თვით სოციალიზმის დროსაც. ძალმომრეობენ იგივენი ე. წ. **"საბაზრო ეკონომიკის",** სინამდვილეში კი ისევ კაპიტალისტურ, ამჯერად, ფაშისტურ კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლის დროსაც. ხალხთა მასების ყველაზე სასტიკი ექსპლოატაციით ხასიათდება თანამედროვე კაპიტალიზმი. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ, როგორც გაზეთებში დაიწერა, 2010 წელს მსოფლიოს მოსახლეობის მთელი ქონების ნახევარი 288 ადამიანის ხელში იყო, 2015 წლისათვის კი იგი 68 მილიარდერ-ტრილიონერების ხელშია. ცოტაც შემცირება და, კატასტროფა ალბათ გარდაუვალი იქნება. აი, თურმე, სანამდეა მისული ადამიანური ბოროტება: შურიანობა, სიხარბე და გაუმაძღრობა.

ამ მხრივ, საქართველო, თუ პირველი არა, ბოლო ადგილზე არასდროს მდგარა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, მსოფლიოს ველური კაპიტალიზმის გამოცდილების უსწრაფესად გადმოღების მეშვეობით, ელვისებურად მოხდა ქვეყნის მთელი დოვლათის,– ბუნებრივი რესურსების თუ მშრომელი ადამიანების მრავალსაუკუნოვანი თაობების მიერ შექმნილი მატერიალური საშუალებების ვითომ **"პრივატიზაცია",** სინამდვილეში კი **"პრიხვატიზაცია"** ერთეული ადამიანების მიერ. ყოველმხრივ გაძარცვული მშიერ-მწყურვალი მოსახლეობა კი, ყოველივე ამას ისე უყურებს, თითქოსდა ეს ბუნებრივი მოვლენა იყოს, და მას არაფერი ეხებოდეს, თითქოსდა მილიონერ-მილიარდერ-ტრილიონერების მიერ ხელში ჩაგდებული ქონება მისგან წართმეული სასიცოცხლო საშუალებები არ იყოს.

რას ვიზამთ: ეს ხომ მსოფლიოს ჭკვიან კაპიტალისტთა შორის უჭკვიანესი ადამიანის – ალენ დალესის მიერ ჯერ კიდევ 1946 წელს დაწერილი დოქტრინის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგია.

ხალხი ჯერ კიდევ ცხოვრობს, ჭამს და სვამს, და მაშასადამე, მსოფლიოს ერთმმართველობის განსახორციელებლად წინააღმდეგობის ძალაც გააჩნია, რასაც დროზე უნდა ეშველოსო, – მოაფიქრდათ ალბათ, რომელიღაც მედასავლეთეობაზე თავგადაკლულ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელთაც, ცხადია, ქვეყნის ეკონომიკის შექმნა მატერიალური დოვლათის წარმოების საქმეში ხალხის დასაქმებით არ ძალუძთ, და გადაწყვიტეს იოლი გზით,– მოსახლეობის ერთადერთი სასიცოცხლო საშუალების – მიწების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების და ამ გზით, უპირატესად უცხოელებზე, მათი სარფიანად მიყიდვისა და მისი სიკეთით სარგებლობის, მათ შორის, ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივების, მოკლედ რომ ვთქვათ, ალენ დალესის დოქტრინის ბოლომდე განხორციელების უზრუნველყოფით რეალიზაცია.

ამის შესახებ, სატელევიზიო გადაცემებისა და სხვა სახის საინფორმაციო საშუალებებით უკვე ყველასათვის ცნობილია, მაგრამ პირადად ჩემთვის გაურკვეველია, ასეთი კანონპროექტი ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით დაიწერა თუ არა. რატომღაც არ მჯერა და არც მინდა დავიჯერო, რომ ეს მისი თანხმობით შეიძლება მომხდარიყო, შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც ცნობილია, ადამიანები მუდამ ცდილობდნენ, გაეგოთ, რაში მდგომარეობდა ხალხის კეთილდღეობის საფუძველი. ზოგიერთებს ასეთ საფუძვლად ბუნებრივი სიმდიდრე, სხვებს, მეფისა და მთავარსარდლის ჭკუა-გონება, სხვებსაც ღვთის წყალობა მიაჩნდათ. ბოლოს, ინდოეთის მეფე მუბარაქი (VIIს.) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხალხის კეთილდღეობის საფუძველია მის მიერვე შექმნილი მატერიალური დოვლათი. ეს იდეა ჩვენში მხარდაჭერილი იყო ყოფილი სოციალიზმის დროს, მაგრამ დავიწყებას მიეცა მისი დანგრევისთანავე. როგორც კი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა არენაზე, მაშინათვე განაცხადა, რომ ეკონომიკა უნდა აღედგინა მატერიალური დოვლათის შექმნით. დღემდე არ გამნელებია რწმენა და იმედი, რაც მაშინ მის მიმართ გამიჩნდა. მაგრამ, მიუშვებდნენ კი, მას, ამ მიზნის რეალიზაციისაკენ ის დასავლეთელები და მედასავლეთეები, რომელთა მთავარი მიზანი სწორედაც ალენ დალესის დოქტრინის ხორცშესხმაა. თვითონ ბატონ ბიძინას სიტყვებით რომ ვთქვათ, **"როგორ უნდა დაერწმუნებინა დასავლეთი"** თავისი მიზნის სიკეთესა და საჭიროებაში, როცა იგი მრავალგზის მიწვევის მიუხედავად, ერთხელაც არ ეახლა დასავლეთელ ფაშას თავის რეზიდენციაში, და არ ეამბორა მუხლებზე? ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ვისი და რისი განტევების ვაცი გახდა, ესეც ხომ გაცხადდა საინფორმაციო საშუალებებით, და, თუნდაც ყოფილი ვიცე-პრემიერის პირით.

რა ვქნათ? ჰუსეინიზაციისა და კადაფიზაციის მოწყობას, იქნებ ისევ ამ სიდუხჭირეში ყოფნა სჯობდეს, სულის ამოხდამდე მაინც?

არც ის არის გამორიცხული, რომ ყოველივე ამის უპირველესი მიზეზი შინაური მტრების ძალისხმევა იყოს. ხომ ვხედავთ, ახლა, რაგვარ თავდადებას იჩენენ ხალხის მიმართ, ნაცმოელი ბელადუშკები, რომლებიც თავის დროზე მოქმედებდნენ დევიზით: **"ორმოც წელზე უხნესი ხეც არ მინდა მე"** (მ. სააკაშვილი), და რომლებმაც საგულდაგულოდ ჩარეცხეს 40 წელზე უხნესი მოსახლეობა (და არა მარტო), რათა არ დარჩენილიყო ხსოვნა სოციალიზმისდროინდელი შედარებითი სიკეთისა (ესეც ალენ დალესის დოქტრინის წყალობით). დაუმორჩილებლებს როგორადაც მოექცნენ, ყველამ ვიცით.

მიწები, ჩვენ, ხალხს უსასყიდლოდ გადავეცითო, რომ იძახიან, ვნახოთ, როგორ მოხდა იგი: ეგრეთწოდებული **"თავისუფლების მოპოვების"** შემდეგ, ყოფილი კოლმეურნეობების მიწები აი ასე მიისაკუთრეს: კოლმეურნეობების ბაზაზე, არჩატარებული საერთო კრებების **„დადგენილებით"** შექმნეს ე. წ. კოოპერატივები და მათ გადასცეს მიწები და სხვა დარჩენილი ქონება, ცხადია, მათი ღირებულების განსაზღვრისა და შესაბამისი გადასახადის დაწესებით. შემდგომში, წლების მანძილზე, გადასახადის გადახდა არავისთვის მოუთხოვიათ, არც წარმოების განვითარებას სთხოვდნენ. პირიქით, მისი საშუალებაც მოსპეს რუსეთის ბაზრის გაუქმებით. ბოლოს, როცა გადასახადის ოდენობამ გადააჭარბა კოოპერატივების ქონებას, ხელმძღვანელები დაიბარეს და ვალის დაუყოვნებლივ გადახდა მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპატიმრებით დაემუქრნენ. ბოლოს ერთადერთი გამოსავალი დაუტოვეს: აპატიებდნენ იმ შემთხვევაში, თუ ვალის სანაცვლოდ კოოპერატივის ქონებას სახელმწიფო საკუთრებაში გადასცემდნენ. ამჯერადაც, – არჩატარებული კრებების **„დადგენილებებით"** ეს ასედაც გააკეთეს. მაგრამ მიწების გაფორმება არ მოახდინეს. გასაფორმებელი თანხა კი გადაახდევინეს ხალხს. ბოლოს მიწების იტალიელებზე მიყიდვა გადაწყვიტეს, აუქციონიც დანიშნეს ქალაქ ფოთში. მაშინ კი ივარგეს სამეგრელოს დეპუტატებმა (ამ სტრიქონების ავტორის რჩევითაც) და სთხოვეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, მიხეილ. სააკაშვილთან საკითხის დაყენება და გაფრთხილება, რომ ამას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ჩანს, დაფრთხა იგი და შუაღამით გასცა განკარგულება აუქციონის შეჩერების შესახებ. ასე გადარჩა მაშინ მიწები სრულიად გასხვისებას. თუმცა, ჩუმ-ჩუმად მაინც ბევრი მიწა გაიყიდა. მაგალითად, ჩვენი რაიონის არც ერთ სოფელში 0,5 ჰექტარი საძოვარი მიწაც კი არ დატოვეს. ეს გამონაკლისი არ ყოფილა.

ასეთ პირობებში, აბა რა განსხვავებაა მიწის ახალი კანონით შემოთავაზებულ პირობა-დაპირებასა და ნაცმოელთა დაპირებებისაგან, რასაც გლეხობისთვის მიწების გადაცემა ოფიციალურად არ მოჰყოლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდეგ ფაქტს: გამოიცა კანონი (სააკაშვილის დამტკიცებით), რომლის მიხედვითაც სოფლად მცხოვრებ ხალხს საკუთრებად ეძლეოდა 5 ჰექტარამდე „მიტაცებული" (შემოკავებული, ან უამისოდაც უკვე სარგებლობაში არსებული, არავისგან სადავო მიწის ნაკვეთი. ეს კანონი აქამდე არავის გაუუქმებია. მაშ, რა საფუძველზე ახდენს მიწების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებას ახალი საკანონმდებლო ინიციატივა?

ცნობილი საყოველთაო გარდაქმნების შედეგად ყველაზე მეტად დასავლეთი საქართველო, კერძოდ, მეჩაიეობის რაიონები დაზარალდა, რადგანაც ერთადერთი რენტაბელური დარგი – მეჩაიეობა, სრულად განადგურდა. აი, მისი შედეგის ერთი მაგალითიც:

300 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია იწარმოებოდა იმ **„ავადმოსაგონარ"** პერიოდში, ყოველწლიურად ჩემს პატარა წალენჯიხის რაიონში. 700-ზე მეტი ბავშვი იბადებოდა. არ მოიძებნებოდა დაუსაქმებელი, უხელფასო-უშემოსავლო არც ერთი შრომისუნარიანი ადამიანი. მოსახლეობა 42.000 სულს აღწევდა.

5-7 მილიონ მანეთამდე შემცირდა **„საამური ცხოვრების"** დამკვიდრების პერიოდში რაიონის მთლიანი პროდუქცია. 200-მდე ბავშვიღა იბადებოდა, უმუშევრად იქცა შრომისუნარიანი მოსახლეობის 80-90 პროცენტი, რაიონის მოსახლეობა 28.000 სულამდე შემცირდა, ლტოლვილების ჩათვლით. ეს მაჩვენებლები ამჟამად რამდენადმე ამაღლებულია.

ანალოგიური მდგომარეობაა სამეგრელოს სხვა რაიონებშიც.

**ასეთ პირობებში, სოფლის მოსახლეობისთვის მიწების ჩამორთმევა და უპირატესად უცხოელებზე მიყიდვა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი მოსახლეობის უმიწაწყლოდ, უსამშობლოდ და უპატრონოდ დატოვება, ანუ საკუთარი ხალხის გენოციდის მოწყობა.**

ამგვარი კანონპროექტის შემდგენიცა და მიმღებიც, ჩემის აზრით, საკუთარი ხალხის აშკარა მტერია. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ ეს კანონპროექტი **„ქართული ოცნების"** საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო პერიოდში შემოგდებული პროვოკაციაა, რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, თავების უამრავი რაოდენობის მიწაზე დაყრაღა შეიძლება მოჰყვეს (ნაცმოელები და მათი მოკავშირეები არსადაც არ წასულან. ისინი, მეტწილად გადარეპორტირებულნი, თავიანთ ძალოვან სტრუქტურებთან ერთად, ადგილებზევე იმყოფებან და ელოდებიან ერთ მშვენიერ დღეს, როცა პოსტების ერთდროულად დაკავების ბრძანებას მიიღებენ). ვეჭვობ, რომ ამის გაცნობიერება **„ქართული ოცნების"** წარმომადგენლებსა და მიმდევრებს გაუჭირდეთ.

**მამანტი ძაძამია,**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის" პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „აია"-ს საპატიო პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, 5 უნივერსიტეტის პროფესორი**

# ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ დავით უსუფაშვილს

ბატონო თავმჯდომარევ!

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების (?) შედეგად მოხვედით რა სახელმწიფოს მართვის სათავეში, ანუ გახდით პარლამენტის თავმჯდომარე, აქტიურად შეუდექით საპარლამენტო საქმიანობას. თუნდაც, რად ღირდა, პირველსავე სხდომებზე, პრეზერვატივების შესახებ კანონის მიღება! სწორედ ამას ჰქვია **"ხალხზე გულმოდგინე ზრუნვა"!**

ისე მთლად უსაქმურად არ ყოფილხართ. შეიძლება ითქვას, რომ ის რაც გაკეთდა ჯანდაცვის კუთხით, ნამდვილად მისასალმებელია! ამუშავდა ძალოვანი უწყებები, სოფლის მეურნეობა, სასჯელაღსრულების სტრუქტურა და კიდევ ზოგიერთი უწყება. არაფერი ეშველა განათლების, შერიგება-ჩახუტების, გარემოს დაცვის, თავდაცვის სამინისტროს! ეს სტრუქტურა, მინისტრის თამადობით, ხალხის ხარჯზე აკრეფილი შემოსავლების გამოყენებით, საკმაოდ ხელგაშლილად ხარჯავს სამინისტროს ბიუჯეტს, მხოლოდ თავიანთი უკიდეგანო საზღვარგარეთული ვოიაჟებისთვის! თუმცა პოლიციის მისამართით საყვედურები კვლავ გაისმის, ვინაიდან იქ მოკალათებული ნაცებისაგან, ვერ იქნა და ვერ გაიწმინდა სისტემა, კიდევ ხდება დაკავებულებზე ფიზიკური ზემოქმედება! ისევ ხდება ნარკოტიკების ჩადება(!) და ადამიანებისათვის ჩაუდენელი დანაშაულის დაბრალება! თუმცა სისტემა როგორ გაიწმინდება, როდესაც თქვენ პირადად მფარველობთ ნაცებს. იქნებ სთქვათ – არა! თქვენ არ იყავით, რომ სთქვით – ჩვენი მიზანია ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა!? თქვენი მინისტრი (?) მეუღლე თავხედურად გაიძახის, რომ ნაციონალებთან კოჰაბიტაცია ხალხმა (!?) დაგვავალაო! საინტერესოა, თანამდებობებმა ორივე ცოლ-ქმარს აზროვნების უნარი სულ წაგართვათ?! საერთოდ თქვენ და თქვენს პარტიას საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი უმრავლესობა არ მიგიჩნევთ იმ დონის სუბიექტებად, რომ ხალხმა თქვენ რამე დავალება მოგცეთ, როგორც ამას **„ბრძანებს"** თქვენი მინისტრი (?) მეუღლე! ასე, რომ სავარძლებში ნებივრობისათვის ძალიან ცოტა დრო გრჩებათ! მოახლოვდა არჩევნები! ნუ იქნებით უცხოელების იმედზე! ამხ. თავმჯდომარევ! მე მგონი სიტყვა **„ნეპოტიზმი"**-ს მნიშვნელობა იცით! ეს ისე სხვათა შორის! და კიდევ ერთხელ, სხვათა შორის, სკკპ წევრობის ბილეთი ხომ გაქვთ კარგად შენახული? (!) ღმერთი არ გაგიწყრეთ (საერთოდ, რესპუბლიკელებს ღმერთი გწამთ რო?) და პარტბილეთი არ დაგეკარგოთ! მე პირადად, მეორე დღესვე, 1989 წლის 10 აპრილს ჩავაბარე ჩემი პარტბილეთი პარტორგანიზაციის მდივანს და მერე აღარც მომიკითხავს (მეც ვიყავი სკკპ წევრი, ოღონდ მე ბევრად ადრე გავწევრიანდი. მაშინ პარტიის წევრობას სხვა დატვირთვა ჰქონდა! თქვენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეამ გაგხადათ პარტიის წევრი, ხოლო მე მერკანტილურმა ქმედებებმა)! ეს იყო 1989 წლის 10 აპრილს! მაშინ, როდესაც თქვენ გახდით სკკპ წევრი!!!

ეხლა, რაც შეეხება ჩემს წერილს თქვენდამი. როგორც იცით, მსოფლიოში არსებობს უამრავი განკურნებადი და განუკურნებელი დაავადებები. არის ასევე დაავადებები (იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში), რომლებიც თავს იჩენენ სიბერეში – უკბილობა, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს მხოლოდ სტომატოლოგიური პროთეზით! ასე, რომ, იქნებ მოიღოთ მოწყალება (?) და სახელმწიფო დაფინანსების ნუსხაში შეიტანოთ სტომატოლოგიური პროთეზების დაფინანსებაც! ამის გაკეთებას თქვენი სახსრებით ხომ არ მოვითხოვთ, ისიც ხომ ხალხის ფულია? დაბერებას ხომ აპირებთ? ასე, რომ გელოდებით! სანამ თანამდებობას სამუდამოდ დატოვებთ, იქნებ ეს მაინც დაუტოვოთ ხალხს კეთილ მოსაგონრად!

იჩქარეთ, თორემ არჩევნები მოვიდა!

სამშობლოსათვის უკეთესი მომავლის იმედით, ორი დაღუპული მებრძოლის მამა,

**ანზორი დანელია**

# ნარგიზა ბასარია: ეს არ არის „მეგრული სეპარატიზმის წახალისება, რომელიც თითქოსდა მოსკოვიდან იმართება”



ვრცელდება ცნობები, რომ მომავალი წლიდან გალის ქართულენოვან სკოლებში მეგრულ ენაზე მომზადებული დედაენის, **„ჩქიმი ნინას“** შეტანა იგეგმება. მისი ავტორი ნარგიზა ბასარიაა. მსგავსი ინფორმაცია პირველად შარშან გაჟღერდა, რამაც საზოგადოებაში განსხვავებული რეაქციები გამოიწვია. მეგრულენოვანი დედაენის შექმნის იდეა აფხაზეთში, გაზეთ **„გალის“** რედაქციაში კორესპონდენტად მუშაობისას გაუჩნდა, სადაც მეგრულ ენაზე სვეტი მიჰყავდა. რას მოიცავს წიგნი, რა მასალებზე დაყრდნობით მოამზადა იგი ავტორმა, ხედავს თუ არა ის ამ ფაქტში **„მეგრული სეპარატიზმის“** ნიშნებს, **„ლაივპრესი“ ნარგიზა ბასარიას** ესაუბრა.

**„ლაივპრესი“**: რამდენი ხანი მუშაობდით წიგნზე „ჩქიმი ნინა“? რამდენად რთული ან მარტივი იყო ეს პროცესი?

**ნარგიზა ბასარია:** წიგნს **„ჩქიმი ნანა“** თითქმის 6 წელი ვამზადებდი, მაშინ, როცა გაზეთ **„გალის“** რედაქციაში ვმუშაობდი. ეს არის მუშაობის მძიმე წლები, როდესაც მიწევდა დავიწყებული მეგრული სიტყვების ძიება, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იყო ამა თუ იმ მასალის თარგმნა. ამჟამად, პოეტები და მწერლები მეგრულ ენაზე განსხვავებულად წერენ, გრამატიკის თვალსაზრისით, საერთო სისტემა არ არსებობს. მე უნდა დამემუშავებინა ერთიანი გრამატიკული მიმართულება, წესები, პრინციპები, რათა მცოდნოდა როგორ მეწერა, პირობითად მაინც. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე დასახული მიზნები შევასრულე.

**„ლაივპრესი“: „ჩქიმი ნინა“** არის მეგრული ენის შემსწავლელთათვის. რას შეიძლება მასში დაინტერესებული ადამიანი გაეცნოს? ანუ რა არის წარმოდგენილი წიგნში რომ აგვიხსნათ.

**ნარგიზა ბასარია:** წიგნში „ჩქიმი ნანა“ მოცემულია გრამატიკული მიმართულება, რომელიც განმარტავს, თუ როგორ წარმოითქმება და იწერება ესა თუ ის სიტყვა ასო-ბგერა ძ-ს გამოყენებით. სიტყვები იწერება დაბოლოებებით, თუმცა, არა ფუძეებით, როგორც ახლა წერენ. მასში დიდი რაოდენობით არის ლამაზი, დავიწყებას მიცემული სიტყვები. მათ მე წლების განმავლობაში ვეძებდი და ისინი მოცემულია ორ ენაზე თარგმანით. ამ სიტყვების უფრო ადვილად დასამახსოვრებლად წიგნში არის კროსვორდები. ბევრია ნათქვამი მივიწყებულ მეგრულ ტრადიციებზეც.

**„ლაივპრესი“:** რამდენი ტირაჟით გამოიცა წიგნი?

**ნარგიზა ბასარია:** ტირაჟი უნდა ყოფილიყო 500 ცალი, თუმცა რამდენი გამოიცა, ამის შესახებ მე ინფორმაცია არ მაქვს.

**„ლაივპრესი“:** ჩვენი ინფორმაციით, ამ სახელმძღვანელოს შემოღებას გალის ქართულენოვან სკოლებში სოხუმი გეგმავს მომავალი წლიდან. თქვენ რა იცით ამის შესახებ? რამდენად რეალურია ეს ცნობები და როგორ იმუშავებს ეს წიგნი ამ სკოლებში?

**ნარგიზა ბასარია:** არ ვფლობ ამაზე ინფორმაციას. ამ წიგნმა სკოლებში რომ იმუშაოს, მასწავლებლებმა ის გზა უნდა განვლოს, რაც მე გავიარე.

**„ლაივპრესი“:** რა განწყობით შეხვდნენ ინფორმაციას, მეგრულ ენაზე სახელმძღვანელოს შემოღების შესახებ მშობლები, პედაგოგები, ბავშვები, ის ადამიანები, ვისაც ეს სიახლე შეეხებათ? ალბათ გსმენიათ, რა გამოხმაურებები მოჰყვა გალის რაიონში ამ ფაქტს.

**ნარგიზა ბასარია:** მეგრული და ქართული ერთი ფუძიდან მოდიან, ამიტომ ისინი ჩემთვის და ჩემი დებისა და ძმებისთვის ერთნაირად ახლო და ძვირფასია. ისევე, როგორც ჩემს ირგვლივ მრავალი ადამიანი, მეც ვფიქრობ, მეგრულ ენას აქვს არსებობის უფლება, როგორც **„ქართული კულტურის ოქროს ფონდს“** (ი.ჭავჭავაძე).

**„ლაივპრესი“:** გაქვთ ინფორმაცია, მოხდება თუ არა იმ პედაგოგების გადამზადება, ვინც ეს წიგნი უნდა ასწავლოს? ვგულისხმობ იმას, რომ მეგრული ალბათ იციან, უბრალოდ სკოლებში ამ ენის სწავლების პროცესი ახალი და სპეციფიკური იქნება.

**ნარგიზა ბასარია:** პედაგოგების გადამზადების შესახებ არ მაქვს ინფორმაცია და რამდენადაც ვიცი, მათ არ ჰყავთ მეგრული ენის სპეციალისტები.

**„ლაივპრესი“:** როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა აუცილებელი **„ჩქიმი ნინას“** სკოლებში შეტანა?

**ნარგიზა ბასარია:** მე არ მესმის, თუ შესაძლებელია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული ენის – აფხაზურის შესწავლა, რატომ არ შეიძლება მეგრული ენის სწავლა, რატომ უნდა გაქრეს ის?

**„ლაივპრესი“:** ქართულ საზოგადოებაში აზრი ორად გაიყო იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მეგრულ ენაზე სწავლება მოხდება გალის ქართულენოვან სკოლებში. მაგალითად, ზუგდიდელების ნაწილი სოციალურ ქსელებში ცალსახად უარყოფითად არ შეხვედრია ამ სიახლეს. მათ მიიჩნიეს, რომ მეგრული საქართველოს სხვა სკოლებშიც უნდა ისწავლებოდეს და ამაში პრობლემას ვერ ხედავენ. ნაწილი კი ფიქრობს, რომ ეს **„მეგრული სეპარატიზმის“** წახალისებას ნიშნავს და ეს პროცესები მოსკოვიდან იმართება. თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?

**ნარგიზა ბასარია:** დიახ, გალის რაიონში მეგრული ენის შესაძლო სწავლების ფაქტთან დაკავშირებით, ქართულ საზოგადოებაში აზრი ორად გაიყო. მე პირადად, ისევე როგორც ბევრი სხვა, ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. პირადად ჩემთვის ეს არ არის **„მეგრული სეპარატიზმის წახალისება“**, რომელიც ვითომ მოსკოვიდან იმართება. მე ზედმეტად პატრიოტი და კეთილსინდისიერი ვარ იმისთვის, რომ **„მეგრული სეპარატიზმი“** წარმოვადგინო. განა შეიძლება **„სეპარატიზმი“** უწოდო მეგრული ენისადმი სიყვარულს და მცდელობას, მისი შენარჩუნებისთვის რაიმე გააკეთო?

**„ლაივპრესი“:** ხომ არ გეგმავთ მეგრულ ენაზე სხვა წიგნის გამოცემასაც?

**ნარგიზა ბასარია:** მე მინდა ჩემი ახალი წიგნი გამოვცე, სახელწოდებით **„უფსკერო ზღვა“.** მასში წარმოდგენილია იგავები ეზოპეს სიუჟეტების მიხედვით, ასევე ლექსები, ისეთი ნაწარმოებების თარგმანები, როგორიცაა: შოთა რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანი“**, ნ. დუმბაძე – **„მე, ბებია, ილიკოდა ილარიონი“**, სხვადასხვა ხალხთა ანდაზები და გამონათქვამები მეგრულ, რუსულ და აფხაზურ ენებზე და ა.შ. მოხარული ვიქნებოდი, თუ ეს წიგნი თბილისში გამოიცემა.

**„ლაივპრესი“:** რითი იხელმძღვანელეთ ამ წიგნის შედგენისას, რომელი მასალებით?

**ნარგიზა ბასარია**: გამოყენებული ლიტერატურაა – ი. ყიფშიძე მეგრული ენის გრამატიკა, გამოცემა **„სანქტ-პეტერბურგი“** 1914 წ, **„გალის“** საარქივო მასალები, ო. ქაჯაია **„მეგრულ-ქართული ლექსიკონი“** 1.2-3.ტ. გამოცემა **„თბილისი“** 2001-2002 წლები, მ. ძაძამია **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, გამოცემა **„თბილისი“** 2007 წ. წერილები, სტატიები, **„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“** 2-4 ტომი, 1973 წ. 5 ტომი გამოცემა **„საბჭოთა საქართველო“**, **„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“** გამოცემა **„თბილისი“** 1991 წ. და ქართული ენის სახელმძღვანელო – რედაქცია **„მაცნე“.**

ნინო თოლორაია

## კიდევ ერთხელ ქალბატონ ნარგიზა ბასარიას წიგნის – „ჩქჷნი ნინას” თაობაზე...

ამ წიგნზე ბოლო დროს ძალიან ხშირად მეკითხებიან... თანაც არ დავმალავ და ვხედავ, ვგრძნობ იმასაც, რომ ზოგს ეს ნამდვილად გულწრფელად აინტერესებს, ზოგს კიდევ – აშკარად პროვოკაციულად... მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე საჯაროდ აქამდეც ბევრჯერ გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება, თავს მაინც ვთვლი მოვალედ – კვლავაც დაუზარებლად დავაფიქსირო ის...

ვინაიდან, ქალბატონ ნარგიზა ბასარიას წიგნი „ჩქჷნი ნინა” მე არ მინახვს, მის ავკარგიანობაზე, სასკოლო სახელმძღვანელოდ მის გამოსადეგობაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ცხადია, მივესალმები ნებისმიერ ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება მეგრული ეთნოსის თვითმყოფადობის უწინარესი გამოხატულების – მეგრული ენის დაცვა-შენარჩუნებისაკენ... ამიტომაც, აუცილებელ, საშურ და მამულიშვილურ საქმედ მიმაჩნია, რომ მეგრული ენა ისწავლებოდეს არა მარტო გალის რაიონის ამჟამინდელ საზღვრებში, არამედ სვანურ ენასთან ერთად ის ასევე ისწავლებოდეს კოლხურ-იბერიულ სასიცოცხლო არეალში, ანუ, ყველგან ქვეყნის მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში... ამასთან ერთად, კოლხურ-იბერიული ენების დაცვა-განვითარებისათვის უაღრესად მიზანშეწონილად ვთვლი ამ ენებზე ტელე-რადიომაუწყებლობის ფუნქციონირების ორგანიზებასაც... თუ ვინმე შიშობს, რომ გალის ტერიტორიაზე მავანმა შესაძლოა მეგრული ენა გამოიყენოს საქართველოს ერთიანობის საზიანოდ, მაშინ კეთილი ინებოს საქართველოს სახელმწიფომ და ეს ენა ჩააყენოს ქვეყნის ერთიანობის სამსახურში ანუ ამ ენაზე იქადაგოს არა სეპარატიზმი, არამედ ეროვნული ერთიანობა და მთლიანობა... მერწმუნეთ, რომ ამგვარი მიდგომა საკითხისადმი არის სტრატეგიულად გამართლებულიც და საბოლოოდ ეს გახდება სწორედ ის ქვაკუთხედი, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს დაკარგული ტერიტორიების რეინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში...

ვფიქრობ, რომ გონიერი ადამიანები მშვენივრად მიხვდებიან ჩემი ამ განცხადების ქვეტექსტს...

ზურაბ კვარაცხელია,
ზუგდიდი

# მიხეილ ჯიბუტი: რატომ გაქრა ლარის ახალ კუპიურებზე სახელმწიფო-საქართველოს სახელი!?



2016 წლის 25 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ვადა ამოეწურა ბატონ გიორგი ქადაგიძეს.

ამავე დროს, გიორგი ქადაგიძე რჩება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად – მიმოქცევაში 2016 წლის 1 თებერვალს გამოშვებულ ახალი ნიმუშის 20 და 50 ლარიან ბანკნოტებზე.

აღნიშნულ ბანკნოტებზე მითითებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მისი ხელმოწერა – გ. ქადაგიძე.

ჩვენ არ მინდა ვიყო მორალისტები და დავიწყოთ ამ ფაქტის თავმდაბლობის ან სხვა მსგავსი მორალური კატეგორიებით შეფასება.

ამ ფაქტმა და იმან, რომ ახალ კუპიურებზე, წინა ესკიზის ლარებისაგან განსხვავებით, აღარც ფინანსთა სამინისტროა მითითებული და აღარც ფინანსთა მინისტრის ხელმოწერაა (**http://ganakhle-bulilari.ge/**), გვაფიქრებინა, რომ ხომ არ არის უპრიანი საერთოდ არ იყოს არავის ხელმოწერა? მით უმეტეს, რომ ქვეყნის დემოკრატიის ყმაწვილობის გამო ფულზე ხელის მომწერი პერსონები ხშირად ხდება თანამედროვეთა არაერთგვაროვანი შეფასების მიზეზი, რაც აზიანებს ფულის ავტორიტეტსა და მისდამი ნდობას.

სხვათა შორის, გვახსოვს, 1993 წელს, როდესაც საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღების პაკეტი მომზადდა, ქაღალდის ფულზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ხელმოწერების საკითხი იმ მოტივით გადაწყდა, რომ მომხდარიყო დემონსტრირება ამ ინსტიტუტების ერთიანობისა, რაც ფულისადმი ნდობის გაზრდას შეუწყობდა ხელს.

რა მიზეზით იქნა აღნიშნულზე უარი საზოგადოებისათვის არავის არ უცნობებია. ალბათ იმ ფორმალური მოტივით, რომ საქართველოს კონსტიტუციით მიხედვით **“ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს”** (მუხლი 95 პუნქტი 5). იგივე დაკონკრეტებულია საქართველოს ორგანული კანონით **“ეროვნული ბანკის შესახებ”**, განსაზღვრულია, რომ **“მხოლოდ ეროვნულ ბანკს აქვს როგორც მიმოქცევისათვის, ისე საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება”** (მუხლი 35. პუნქტი1.). რაც შინაარსობრივად აბსოლუტურად ლეგიტიმურია, თუმცა არაა გარდაუვალი ფორმით.

თუმცა, კატეგორიულად მიგვაჩნია არასწორად, როდესაც ლარის ახალ კუპიურებზე, არა გვგონია, რომ შემთხვევით – გაქრა სახელმწიფო-საქართველოს დასახელება. ალბათ ძნელი საპოვნი არ უნდა იყოს ის ძალა, რომელსაც აშკარად არ სურს ჩვენი სამშობლოს სახელწოდების მაღალ ტონებში აჟღერება.

საპირწონედ აქ არ გამოდგება ის, რომ ბანკნოტებზე მითითებულია **“საქართველოს ეროვნული ბანკი”.** არ გამოდგება არა იმიტომ, რომ მსგავსი მაგალითები არ არსებობს, არამედ, იმიტომ, რომ ეს მოცემულ შემთხვევაში ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონი ამბობს, რომ **“საქართველოს ფულის ერთეულია “ლარი” (მუხლი 34. პუნქტი 1)”.** ანუ საქართველოს სახელმწიფოს ფულია ლარი. საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ **“საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა “საქართველო”** (მუხლი 1. პუნქტი 3).

ლარი არის სახელმწიფო – საქართველოს ფული და მასზე წარწერა **“საქართველო”** აუცილებლად უნდა აღსდგეს.

სანამ გვიან არაა უნდა ჩასწორდეს 100 ლარიანისა და სხვა ნომინალების მატრიცები!!!

მიხეილ ჯიბუტი

# ალექსანდრე აბდალაძე: გვარგაქართულებული სომხების უმრავლესობა სომხეთის დაზვერვის აგენტურაა



### *გაზეთ "ილორი"-ს წინასიტყვაობა*

*წინამდებარე წერილს ვბეჭდავთ იმათ საყურადღებოდ, ვისაც ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ მიხეილ სააკიანცს და მის დაშნაკურ ნაცბანდას რაიმე სიკეთის მოტანა შეუძლიათ ქართველისა და საქართველოსათვის.*

*საქართველოს მდიდარი, მრავალჭირნახული ისტორია თუ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მატიანის გარკვეული მონაკვეთები თვალნათლივ მიანიშნებენ, რომ საქართველოს ყოველთვის ეკავა კავკასიაში ლიდერის პოზიცია. დიახ, საქართველო ლიდერი გახლდათ როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რადგან კავკასიის სახელმწიფოთა შორის არავის გადაუხდია იმდენი წარმატებული ომი აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის უდიდეს ქვეყნებთან (გამონაკლისი მხოლოდ 2008 წლის სამდღიანი ომია, რომელიც სამარცხვინოდ წააგო სააკაშვილმა და მისმა დაშნაკურმა ბანდამ), რამდენიც საქართველომ გადაიხადა და თუ ბევრმა კავკასიის სახელმწიფომ დღემდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევის შესაძლებლობა, ეს სწორედ საქართველოს დამსახურება გახლდათ. ეთნიკურად სომეხი, მენტალურად კი დაშნაკი სააკაშვილი (14 წლის ასაკამდე – გარეგინ სააკიანცი) კი ყველანაირად შეეცადა დაეკნინებინა საქართველოს როლი ამიერკავკასიაში, ლამის მიწასთან გაასწორა უმდიდრესი ქართული კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, სასტიკად გაამწვავა რუსეთთან ურთიერთობა და ენერგიულად შეუდა იმ ტრადიციების განადგურებას, რითაც საქართველოს მუდამ ლიდერის პოზიცია ეკავა რეგიონში. ამით კი სააკაშვილს თავისი რეალური სამშობლო – სომხეთისათვის სურდა გადაებარებინა ამიერკავკასიის ლიდერის პოზიცია. მაგრამ ამ ბნელმა დაშნაკმა ვერ გათვალა, რომ ლიდერობა დანიშვნითი ფენომენი არ გახლავთ და იგი აღიარებითი ფაქტორია.*

*ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომელიც ჩაწერილია 2008 წლის აგვისტოს მძიმე დღეებში, როცა საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები. ამ ინტერვიუდანაც აშკარაა, რომ სააკაშვილმა სპეციალურად წამოიწყო ომი 2008 წლის აგვისტოში, რომლის შედეგადაც საქართველომ სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც დაჰკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო.*

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე აბდალაძე რელიგიური კონფესიის შესახებ მიღებულ ახალ კანონს აპროტესტებს და საქართველოს პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს სომხური საქმეების შემსრულებლად აცხადებს. აღნიშნული კანონის საფუძველზე იგი საქართველოს კატასტროფულ მომავალს **"უწინასწარმეტყველებს"**. აქვე, ალექსანდრე აბდალაძე თავის ახალ წიგნზეც **"სომხების პრობლემა საქართველოსთვის"** ისაუბრებს.

– ყველა სომხური ეკლესია საქართველოში უკანონოა. სააკაშვილმა კი მათ საუკუნეების წინანდელი ოცნება აუსრულა და სომხურ ეკლესიას დღეს პრივილეგიები მიანიჭა.

ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: არ არსებობს **"ნასომხარი"**, არ არსებობს არც ერთი გაქართველებული სომეხი, რომელიც ქართულ ეროვნულ საქმეს აკეთებდეს, რადგან სომეხი სომეხია და ის ყოველთვის სომხურ საქმეს აკეთებს; ყველა სომეხი, რომელიც **"ქართველობს"**, იღებს ქართულ გვარს, ამას აკეთებს ერთადერთი მიზნით – ავნოს და დააზიანოს ქართული საქმე. გვარშეცვლილი, ვითომ **"გაქართველებული"** სომეხი არის ქართული საზოგადოების მტერი №1, რადგან ასეთი სომხების უმრავლესობა სომხეთის დაზვერვის აგენტურაა. თავიდანვე ვამბობდი, არ გვინდა ნასომხარი პრეზიდენტი, საქართველოს დაღუპავს-თქო, მაგრამ არავინ დამიჯერა, ახლა კი შედეგებზე წუწუნებენ. ერთ თანამდებობის პირს (ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ) ჩემი პოზიცია რომ მოვახსენე, მიპასუხა, კაი ერთი მოგცლია, მე გამაძღოს და სომეხს კი არა **"ზანგს"** ავირჩევ საქართველოს პრეზიდენტადო. ზუსტად ასეთმა მიდგომამ დაღუპა საქართველო. ეს კიდევ დასაწყისია, წინ უარესი გველოდება. საქართველო კატასტროფული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ამერიკულ სომხურ წრეებსა და სომხეთის საპატრიარქოს საქართველოში ეროვნული პოზიციების დასუსტება და საკუთარი უფლებების გაზრდა აქვს მიზნად დასახული.

საწყის ეტაპზე სომხებმა 6 ეკლესია სიმბოლურად მოითხოვეს, ისე კი, 650 ეკლესიის დაპატრონება აქვთ გადაწყვეტილი, რაც სომხური იდეოლოგიის გატარების მყარი საფუძველი იქნება. ეს არის მოსამზადებელი ნიადაგი, რომ ბოლოს საქართველო სომხურ პოლიტიკურ ერთეულად აქციონ და ბათუმში ზღვაზე გასასვლელი მოიპოვონ.

ვიმეორებ, ის, რაც დღეს ხდება, მხოლოდ დასაწყისია, ახლო მომავალში მთელი აღმოსავლეთ საქართველო აფხაზეთის ბედს გაიზიარებს, თუ ქართველი ერი დროზე არ გამოფხიზლდა და სასწრაფო ზომები არ მიიღო. ჯავახეთი სააკაშვილმა სომხებს თითქმის უკვე გადაულოცა, ახლა ჯერი თბილისზეა. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანაც.

როცა მეფის რუსეთში რევოლუცია მოხდა და საქართველო და სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდა, საქართველოს დედაქალაქად თბილისის აღიარება სომხურმა წრეებმა გააპროტესტეს, თბილისი სომხური ქალაქია და საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი უნდა იყოსო. მაშინ სომხები ვერაფერს გახდნენ და ამის გაკეთება დღეს სააკიანცსააკაშვილისა და სხვა გვარგაქართულებული სომხების მეშვეობით მოინდომეს.

**– გინდათ თქვათ, რომ სუვერენული საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი სომხური წრეების დაკვეთებს ასრულებს?**

– სააკაშვილი ამერიკაში მყოფ სომხურ წრეებთანაა შეკრული და, რა თქმა უნდა, მათ დაკვეთებს ასრულებს. იგი საქართველოს პრეზიდენტი სწორედ ამერიკაში მყოფი სომხური გავლენიანი წრეების ხელდასმით გახდა, თუმცა ამ დაკისრებული მოვალეობების გარდა, მასში სომხური სისხლის ყივილიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ადრე თუ გვიან ქართველების რისხვას ვერ ასცდება და საქართველოდან გაქცევაც ამიტომ მოუწია, მაგრამ მას ამერიკული სომხური წრეების იმედი აქვს, რომ თავდადებას დაუფასებენ. ამ ხიბლით იგი საქართველოს საბოლოოდ დაღუპავს.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის სომხობასთან დაკავშირებით თქვენთან ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა, ბევრი მოსაზრება გამოითქვა. ერთ-ერთის მიხედვით, თითქოს სააკაშვილები ნამდვილი სომხები კი არა, გასომხებული ქართველები იყვნენ, რომლებიც გრიგორიანულ სარწმუნოებაზე იწერებოდნენ, ახლა კი საკუთარ ფესვებს დაუბრუნდნენ. მინდა ამაზე ასეთი კომენტარი გავაკეთო: მსგავსი სახის განცხადებებს მხოლოდ სააკიანც-სააკაშვილის ლაქიები ავრცელებენ. საქართველოში მე-19 საუკუნემდე ქართველების გასომხება არ ხდებოდა. სომხების გაქართველება კი უდავო ფაქტია. როცა სპარსეთის დახმარებით სომხეთი გაძლიერდა, სომხურმა ეკლესიამ გაქართველებული სომხების ისევ სომხურ სარწმუნოებაზე მოქცევა დაიწყო. რაც შეეხება თავანკარა ქართველების გასომხებას, ასეთ ფაქტებს ისტორიაში ადგილი თითქმის არ ჰქონია. იყო რამდენიმე ქართველი, რომლებსაც სომხის ქალები შეუყვარდათ და ისინი მითხოვების წინ საქმროებს გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლას სთხოვდნენ, თუმცა მსგავს ფაქტებს საქართველოს სამეფო კარი და ეკლესია კატეგორიულად კრძალავდა. ასე რომ, სააკაშვილის ქართველობა სრული აბსურდია.

**– ბატონო ალექსანდრე, თქვენს ახალ წიგნში "სომხების პრობლემა საქართველოსთვის" რას სთავაზობთ მკითხველს?**

– ახალი წიგნის დაწერა იმ დაპირისპირებულმა ურთიერთობებმა გადამაწყვეტინა, რომელიც მთელი 22 საუკუნის განმავლობაში, ანუ ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნიდან არსებობს მეზობელ სომხეთსა და საქართველოს შორის. წიგნი ამ ორი ერის მხოლოდ წინა საუკუნეების ურთიერთობებს კი არა, დღევანდელ დამოკიდებულებებსაც ეხება. მაგალითად, ბოლო თავის სათაური ასეთია **"სომხების პრობლემა საქართველოსთვის XIX-XXI საუკუნეებში"**, ხოლო მე-4 ქვეთავის სათაურია **"სომხებს უნდა აეღოთ თბილისი, თუ ქართველებს – ერევანი?"**. აქ მოთხრობილია, 1918 წელს სომხეთმა ომის გამოუცხადებლად საქართველოს ვერაგულად რომ შემოუსია ჯარი.

სომხების მიზანი დიდი სომხეთის ჩამოყალიბება და საქართველოს დაპყრობა იყო. მცირე პერიოდის განმავლობაში მათ საქართველოს ერთი ნაწილის მიერთება მოახერხეს კიდეც, თუმცა ქართველი ერი სომხეთზე დიდ დამპყრობლებს: სპარსეთს, რომის იმპერიას, არაბეთის იმპერიას არ ეგუებოდა და სომხეთს შეარჩენდა საკუთარ მიწა-წყალს?! ქართველებმა სომხეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები უკანვე დაიბრუნეს, რაც განხეთქილების საგნად იქცა ამ ორ ერს შორის.

წიგნში ის რეალობა მაქვს აღწერილი მოკლედ, რაც სომხებისთვის და ჩვენი ყოფილი პრეზიდენტისთვისაც მეტად მტკივნეული იქნება.

წიგნი მცირე ტირაჟით გამოვეცი, რადგან არც მე მქონდა საკმარისი ფინანსები და არც სპონსორი მყავდა. 2008 წელს კი დამასპონსორეს, მაგრამ მეორე წიგნის დაფინანსების სურვილი არავის გამოუთქვამს. ეს ჩემთვის გასაგებიცაა – სომხების მხილება სააკიანცის ხელისუფლების მხილებაც იყო, ამიტომაც დარჩა სპონსორის გარეშე ეს წიგნი. არავის სჭირდებოდა მთავრობასთან პრობლემები ასეთი პოზიციის მქონე ავტორის გამო.

საკვებს ვიკლებდით, რომ წიგნის გამოსაცემი ფული შემეგროვებინა. თუ უხერხული არ იქნება, იმასაც გეტყვით, რომ მხოლოდ ოთხი კბილი მაქვს შერჩენილი და ისიც ვერ გავიკეთე, ოღონდაც ეს წიგნი გამომეშვა. ამასთან დაკავშირებით ერთ კურიოზსაც გიამბობთ, პირველი მეუღლე 73 წლის ასაკში გარდამეცვალა და გარკვეული პერიოდის შემდეგ მარტოობამ მეორე ცოლის მოყვანა გადამაწყვეტინა, ვისაც ჩემთვის საცოლე უნდა გაეცნო, მეუბნება, სანამ კბილებს არ ჩაისვამ, ეგ ამბავი არ მოხდებაო. ვუთხარი, მე ფულის შეგროვებას დავიწყებ და როცა ის ქალბატონი ჩემი მეუღლე გახდება, კეთილი ინებოს და თავად წამყვეს-წამომყვეს ექიმებთანთქო. დიდი ვაი-ვაგლახით ეს შუამავალი ჩემს სურვილზე დავიყოლიე, ამასობაში კბილების გასაკეთებელი ფულიც შევაგროვე, თუმცა იმავე პერიოდში ბოლო წიგნზე მუშაობა დავიწყე და კბილების გაკეთების დრო ცოტათი გადავდეთ. რადგან წიგნის დასპონსორება არავინ მოინდომა და არც სხვა სახსრები გამაჩნდა საამისოდ, ავდექი და კბილების გასაკეთებელი ფული წიგნს მოვახმარე. ასე შევრჩი ჩემს მეუღლეს უკბილო **"გადამგდები"**. ამაზე ახლა ვხალისობთ, თორემ უნდა გენახათ, როგორი იყო ჩემი მეუღლის რეაქცია, როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ მე რომ კბილები ჩამესვა, დღეს წიგნს ვერ გამოვცემდი.

**ესაუბრა ეკა რობაქიძე**

## პოეზიის კუთხე

*სათრევლები*

### შენჩემობანა

როდესაც ყველა ბატი ობამას
უქებს „ნაცების" პარტიობანას,
ქვეყანას ვერვინ ვერ ჩამობანა
დამსმენები და შენჩემობანა.

### მსჯავრი მეოთხისა

კიპაჭოდ ქცეულ ღვინოსა,
გვენეტაძეანთ ნინოსა
სიმართლე ჩამოაცილა
მურუსიძეანთ ბაცილამ
და გახდა მსჯავრი დაცინვად,
მართლმსაჯულობის დაცინვად.

### პანდორას ყუთი

გვარამიასა ვკითხოთ ნიკასა,
ანდა მის მუდმივ კუდისრიკასა,
სიბილწით სავსე პანდორას ყუთი
„რუსთავ-ორია" თუ „ცრუს-თავ-ხუთი"?

### ენანაცვალი

ბანერი, ახლა ჩვენთან რაც არის,
მიკრულია თუ მიგლისურია,
დედას გვავიწყებს,
– დედინაცვალის
ენა რადგანაც ინგლისურია!

### ძიგრი-ძიგრი!

ინტრიგანი ძალას გრძნობს
და რომ დაგვასამაროს,
საკინკლაოდ აღგვაგზნო:
– შენზე ეს თქვა ამანო;
ქსი-ქსი, ქსი-ქსი, ნაგაზო,
ძიგრი-ძიგრი, მამალო!

### შარო, საიდან მოდიხარ?

მოშარე მყავს მრავალი,
გამიხადეს სადავოდ,
მოხარშულს რად სჭამდა, ან
მოხრაკულს რად სჭამდაო?

## მადლი და ძალა წყალისა

ტექნიკურ მეცნიერებათა პლეადის ღირსეულმა წარმომადგენელმა, ბატონმა პაატა გიორგაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, ცნობილ ქართველ ჰიდროლოგთა კვლევებზე დაყრდნობით, სიდუხჭირის დაძლევისა და ყველა ოჯახის გამდიდრების ოპტიმალურ გზას მიაგნეს – მიწისქვეშა სასმელი წყლების ინდუსტრიას, რაც ფრიად ეფექტურია, თუ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" გაითვალისწინებენ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და მოგება ხალხის კანონიერი უფლებების გათვალისწინებით განაწილდება.

დღეს პაატა გიორგაძეს
ტვირთად აწევს მისია,
გვითხრას:
ღმერთი რასაც გვაძლევს,
თუკი კვლავაც სხვისია,–
ეჩოობას როდის დასძლევს,
ვინც ხარბი და მქისია?
სიმწრით ამბობს: რომ უწყალოდ
საქართველო წვალობდა,
სურთ, იმედი გაგვიწყალონ
დღესაც ყველა წყაროდან,
მაგრამ გვწყალობს ღვთისმშობელი,
როგორც ადრე გვწყალობდა!
გვირჩევს: „მიწა, ცანათელი
თაღლითს ბედს ნუ მიანდობს,
და თუ ვერვინ მოირთველებს
ხალხისას საპირადოდ,
გაბრწყინდება საქართველო,
როგორც საემირატო".
„სიმდიდრე გვაქვს
და რომ ვიგრძნოთ
ქვეყნად დარის დარობა,
დროზე უნდა გაიღვიძოს
საქართველოს მთავრობამ,
საქმიანმა ხალხმაც, ვინძლო,
შეძლოს უანგარობა".
„გადავწიოთ ჩვენს ფანჯრებზე
დაშვებული შტორები,
დავიხედოთ საათებზე,
დრო გვაქვს გასასწორები,–
კარიბჭესთან კვლავ ამ ჯერზეც
დგანან ინვენსტორები"...

* * *

საქართველოვ, შე საწყალო,
რომ გკლავს მაწანწალობა,
ღვთისმშობელი რადგან გწყალობს,
შეიფერე წყალობა
და შეგმატებს ყველა წყარო,
წყალუხვ ძალას წყაროთა!

**ალექსანდრე შენგელია**

# მცხეთა – მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

*ანუ საქართველოს უძველესი სამეუფეო ქალაქის – მცხეთის პროექტების: „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეთსიმანიის ბაღის“ ანალიზისა და შეფასებისათვის მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ 2015 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე.*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ჩვენთვის, ჩვენს მიერვე სრულიად ნათლად იქნა გარკვეული, ნაშრომში: **„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“**, რომ ეს წოდება ქართველ მეფეთა **„დავითიანობისა“**, ქართველ მეფეთა ღვთაებრივი წარმომავლობის იდეასთან ერთად, პირველ რიგში უსათუოდ არის დაკავშირებული ქართველი ერის მესიანისტური დანიშნულების იდეასთან, რაც გიორგი მთაწმინდელის სავედრებელში პავლე მოციქულისადმი, გაცხადებულია კიდეც ქართველი ერის მოხსენიებით **„ახალი საღმრთო ერის“** ცნებითი მნიშვნელობით, ანუ **“ახალი ღმერთისკუთვნილი ერის“** სტატუსით. არაჩვეულებრივი გამჭვირვალებით მოჩანს გადმონერგვა გიორგი მთაწმინდელის ამ ფორმულირებისა თამარის დროის საქართველოში. გიორგი მთაწმინდელის **„ახალი საღმრთო ერის“** პირდაპირი და უშუალო განგრძობა ხდება, საბერძნეთის ათონის, ანუ ქართველ მთაწმინდელ მამათა სავანიდან, თამარ მეფის მოწვევით საქართველოში დაბრუნებულის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერისძის ღაღადისი ქართველი ერისა, როგორც **„საზეპურო ერის“.** ნიკოლოზ გულაბერისძის **„სვეტიცხოვლის საკითხავთა“** გამომცემლისა და მკვლევარის, ქალბატონ ნესტან სულავას დასკვნით, საქართველოში მესიანისტური იდეა, მე-4 საუკუნიდან მოყოლებული, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდანვე, თანდათანობით ყალიბდებოდა, როგორც ეროვნული კონცეფცია და სამეფო იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი. (ლიტერატურული ძიებანი №29, გვ. 123. ნიკოლოზ გულაბრისძე – საკითხავი და გალობანი სვეტიცხოვლისანი, მცხეთა, 2007 წ. გვ. 143). საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენის მხრივ, აგრეთვე ხაზგასმით დავსძინოთ: სრულიად ბუნებრივია, რომ გიორგი მთაწმინდელისეულ პავლე მოციქულისადმი განდობილ სავედრებელში მოცემული ფორმულა ქართველი ერის ტიტულოვანი ვინაობისა, როგორც **„ახალი საღმრთო ერის“,** გაღმერთებული მეფის ბედნიერ თანამედროვეობაში, ანუ თამარ მეფისეულ განწყობააწეულ საქართველოში, უკვე კანონიკურ ცნებად და საყოველთაოდ ხმამაღალი გაცხადების საგნად არის ქცეული, თავად საქართველოს პატრიარქის – ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ, ამასთან გაცხადებულია ძველი აღთქმის რჩეული ერის აღმნიშვნელი პირდაპირი ტერმინით: ახალი **„საზეპურო ერით“**, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: **„ზეციური პურის-მტე ერით“**. **„დავითიანობის“** პირველი და სრულფასოვანი განსაზღვრების მოცემულობა გიორგი მერჩულეს **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“** (952 წ.), როგორც ჩანს, ისტორიულ გარემოებათა გამო, კერძოდ, კლარჯეთის სავანეთა განადგურების გამო, შემოსეულ მტერთა ბარბაროსული თავდასხმებისაგან, თავად ამ თხზულების **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“** დაკარგვასთან ერთად დაიკარგა ქართველი ხალხის ცნობიერებიდან. ეს ისტორიული პროცესი შესანიშნავად გამოთქვა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რუსულ ენაზე 8 მთარგმნელმა, მამა იოსებ ზეტეიშვილმა **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“** რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში: – კლარჯეთის სავანეს **„ქართველთა სინას მთის გარდა“** შეიძლება ვუწოდოთო ქართველთა ქრისტიანული ისტორიის ჩაძირული **„ატლანტიდა“,** ისე იყოო გაუჩინარებული მისი არსებობა და ნაღვაწი მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე. 1853 წელს, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის კართან ესოდენ დაახლოვებულმა მეისტორიემ, პლატონ იოსელიანმაც კი არ იცისო გრიგოლ ხანძთელის ვინაობა. **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“** ქართველი ხალხისთვის აღმოჩენილ იქნა ერთადერთი ხელნაწერის სახით, 1902 წელს, იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში, და მხოლოდ ნიკო მარისეული 1911 წლის პირველი გამოცემით. (მითითებული რუსული თარგმანის წინასიტყვაობიდან). როგორც დავინახეთ, თავისი დროის სამონასტრო საიდუმლო სივრციდან – **„ქართველთა სინას მთიდან“** – ერში გამოღწეულმა ტიტულმა ბაგრატიონებისამ: **„დავითის შვილად წოდებულის“**-ამ, თავისი ზეპირ გავრცელებული ვერსიით, ანუ **„წოდებულობისა“** და **„დარქმეულობის“** გამოტოვებამ ზეპირ ვერსიაში, საუკუნეების განმავლობაში დაასახიჩრა ბაგრატიონთა **„დავითიანობის“** გაგება თვითონ ბაგრატიონთათვისაც. საქართველოს დღევანდელმა ეკლესიამ, ვფიქრობ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ზემოქმედებით, ანუ საქართველოს პროებრაულ მასონური ხელისუფლების კოჰაბიტაციური თანამოაზრეობისა და ერთსულოვნების სურვილში, აიტაცა და თანადროულობისათვის მომგებიანად მიიჩნია ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ გაგების საერო, მეისტორიე-მემატიანეთა სახოტბო ვარიანტი, ანუ საუკუნეობით დასახიჩრებული ხორციელი გაგება საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა **„დავითიანობისა“** და გვერდი აუარა ეკლესიურ-მონასტრულსა და კანონიკურ გაგებას დავითიანობისას, როგორც ეპოქალურ რელიგიურ წოდებულობას, დაწესებულს **„ქართველთა სინას მთად“** შეფასებულ და **„სინას მთად“** განცდილ მონასტრულ სივრცეში, ეროვნული დიადი მისიით, ახალი საღმრთო ერის მისიით გააზრებულს. ამ დასახიჩრებული გაგების გავლენით, ანუ **„დავითის შვილად წოდებულის“ „დავითის შვილად“ („ძედ დავითისად“!)** გარდასახვით, მივედით იქამდე, რომ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ სადავეთა მპყრობელმა ებრაელობამ თვით საქართველოში ჰპოვა საკუთარი ინფორმაციული ომის ქართულ-ეკლესიური საყრდენი და შექმნა ბიბლიური დავითის სიბრძნით სახელგანთქმული ძის – სოლომონის **„ტაძრელთა“**, ანუ ქართველ ტამპლიერთა ორდენი, როგორც ღირსეულ დავითიანთა მხედრობა, ამასთან როგორც ქრისტეს ჯარისკაცთა და ბაგრატიონთა მხედრობა, რომელმაც თავისი ოფიციალური წესდებით, საკუთარ მემკვიდრეობად დაივალა საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო და საქართველოს საპატრიარქო ტახტების პატრონობა. დავაკვირდეთ: საქართველოში, საქართველოს მასონური ხელისუფლების იურისდიქციაში დაფუძნებული სოლომონის ტაძრელთა ქართული ორდენი ივალებს საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული სამეფო ტახტის, ანუ რეალურად არარსებული სამეფო ტახტის პატრონობას. ებრაელთა ბიბლიური მეფის, სოლომონის ტაძრელთა ორდენმა საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა დავითიანობის ხორციელ გაგებაზე დამყარებული საქართველოს პატრიარქის ცთომილება, საქართველოს პრომასონურმა ხელისუფლებამ, წარმატებით აქცია ოფიციალურ მწვანე შუქად საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტისაკენ და საქართველოს ისტორიული სამეფო ქალაქისაკენ-მცხეთისაკენ, დღეს უკვე მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე დავით წინასწარმეტყველის ნამდვილ მემკვიდრეთათვის – ისრაელის ინვესტორთა მთელი ლაშქრისათვის. სოლომონის ტაძრელთა ქართული ორდენის მაკურთხებელი საქართველოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე 2012 წლის 21 თებერვალს, ისრაელის პრეზიდენტთან, შიმონ პერესთან საუბარში, პირდაპირი ეთერით, მთელი მსოფლიოს გასაგონად უცხადებს ისრაელის პრეზიდენტს: **„ჩვენ, ქართველები და ებრაელები, არა მხოლოდ ტრადიციებითა ვართო მახლობელნი, არამედ სისხლითაც“,** ამიტომ აწერდნენ-ო ხელს ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის მეფენი **„დავითიან-სოლომონიანებად“**(იხ. ინტერნეტ-საძიებლით: დოკუმენტური ფილმი: **“იქ, სადაც ცა და მიწა ერთდება“**).* როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო ებრაელობამ თბილისში, 2014 წლის ოქტომბერში, მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა სივრცეში ოფიციალური შემოსვლის 25 წლისთავი იზეიმა. რამდენადაც ჩვენს მიერ განსახილველი პროექტების გაანალიზება და შეფასება ჩვენ ამ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის კონტექსტში გვევალება, უნდა აღვნიშნოთ რომ პროექტები: **“მცხეთა-იერუსალიმი“** და **„გეთსიმანიის ბაღი“** ერთი მეასედია იმ ჩანაფიქრისა, რომელიც ისრაელიდან ინვესტორებად მოვლენილი ასამდე ბიზნეს კომპანიის ღონისძიებებით გველის. ეს გახლავთ 21-ე საუკუნის ლაშქარი ქვეყნის დაპყრობისა ბიზნეს მოლაშქრეების წესით. და რა გასაკვირია, როდესაც დიდი სიონისტის, თვით დიდი ქველმოქმედის, ჯორჯ სოროსის ღია განაცხადით სახელმწიფო რევოლუციებიც კი მისთვის მხოლოდ ბიზნესია და ისეთივე სპეციალისტია იგი რევოლუციებისა, როგორც ვაჭრობისა და ე.წ. **„ბიზნესის“** (იხ.მისი: **“ეროვნული დიქტატურები ღია საზოგადოების წინააღმდეგ“**.). რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციას პროექტის: **“მცხეთა-იერუშალაიმის“** შესახებ. იგი განთავსებული გახლავთ **„საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის“** ოფიციალურ ინტერნეტ საიტებზე, სადაც საგანგებო სარეკლამო ამონარიდით გვეუწყება, რომ პროექტი **„მცხეთა-იერუსალიმი“** დამტკიცებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, 2014 წლის 7 დეკემბერს. ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი ამ დროისათვის გახლავთ გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ხოლო მთავარი განმახორციელებელი პროექტისა – ისრაელის მოქალაქე, ბ-ნი იციკ შავითი. პროექტის დამტკიცებამდე ბ-ნმა იციკ შავითმა შესძლო და მცხეთაში, ქალაქ-მუზეუმში, რომელიც, უკვე ორი ათეული წლის განმავლობაში, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, იუნესკოს ოფიციალურ დაქვემდებარებაში იმყოფება და ე. ი. საერთაშორისო დაცვის ობიექტს წარმოადგენს, პროექტისათვის: **„მცხეთა-იერუშალაიმი“**, სვეტიცხოვლის ტაძრიდან 1400 მეტრის დაშორებით, პირად საკუთრებაში იყიდა, 9500 კვ. მეტრი ფართის მიწა. აღსანიშნავია, რომ პროექტის წარმატებული მსვლელობა სწორედ დროის იმ მონაკვეთში მიმდინარეობს, როცა საქართველოს პარლამენტის მიერ საგანგებოდ არის შეჩერებული მიწების უცხოელებზე გასხვისება 2014 წლის 31 დკემბრამდე. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსმიერი გაუქმება საქართველოს პარლამენტის მიერი მიწის გასხვისების აკრძალვისა, გაპროტესტებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ქ-ნ თეა წულუკიანის მიერ და გაცხადებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსმიერი განჩინების შედეგად ქვეყანა მიწის კანონმდებლობის გარეშეა დარჩენილი. დიდი ფილოსოფია არ არის საჭირო დასკვნისათვის, რომ ორივე პროექტი: **”მცხეთა – იერუშალაიმიცა“** და **„გეთსიმანიის ბაღიც“,** უშუალოდ საქართველოს მთავრობის პირველი პირის, ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილის მეოხებით ხორციელდება, როგორც **„ქართული ოცნება“.** გაურკვევლობას იწვევს ის ფაქტიც, რომ პროექტი ყველგან მოიხსენიება როგორც ქართულ-ებრაული საცხოვრებელი და კომერციული პროექტი, მაგრამ ავტორად გამოცხადებულია მხოლოდ ქართველი არქიტექტორი ლაშა ხუციშვილი, რომელმაც ამ გრანდიოზული პროექტის შექმნისათვის, როგორც კონკურსში გამარჯვებულმა არქიტექტორმა ჯილდოდ დაიმსახურა მხოლოდ 5.000(ხუთი ათასი) ლარი. ინტერნეტსაძიებლებში პროექტი **„მცხეთა-იერუშალაიმი“** დამოუკიდებლად იძებნება თავისი მაკეტებით, აიბი ჯგუფის მითითების გარეშე, რომელსაც ბ-ნი იციკ შავითი ეკუთვნის. პროექტი მოიცავს იერუსალიმის რეზიდენციას, საცხოვრებელ კომპლექსებს, ბიზნესცენტრს, დასასვენებელ ვილლებს, რესტორნებს, სასტუმროებს, მაღაზიებს, კაფეებს და ა. შ. ამასთან ბ-ნი იციკ შავითი აღიარებს, რომ ერთერთი მძლავრი მუხტი, რამაც ამგვარი პროექტის განხორციელების სურვილთან მიიყვანა, ეს არის მცხეთაში გათხრილი 2690 წლის წინანადელი სამაროვანი, რომელშიც რამდენიმე არამეულ წარწერიანი საფლავი სავარაუდოდ ებრაელთა საფლავებად იქნა გაგებული. – ამიტომ, აცხადებს ბ-ნი იციკ შავითი, – **„ჩემთვისო მცხეთა და იერუსალიმი ერთიდაიგივეა“**-ო. უსათუოდ ისმის კითხვა: ჩვენთვის, ქართველებისათვისაც თუ არის დღეს ერთიდაიგივე მცხეთა და იერუსალიმი?! ჩვენ ხომ საქართველოს ორი მზე-მანათობელი გვისვენია იერუსალიმში: შოთა რუსთაველი, ავტორი ქართველთა ბიბლიად წოდებული წიგნისა, **“ვეფხისტყაოსნის”** და თამარ მეფე, განსახიერება იდეალური მეფობისა და შემოქმედი ქართველთა ოქროს ხანისა, ლამის გაღმერთებული მეფე საქართველოსი, ქართველი ხალხის მიერ. იერუსალიმში განისვენებენ მთელი თაობები უფალს შეწირული ქართველი ბერმონაზვნებისა და ღვთისმსახურების... ისტორიული წყაროებით ქართველებს იერუსალიმში 40-მდე სალოცავი გვქონდა. აქ არაფერს ვამბობთ წინარე ქრისტიანულ, ბიბლიური ცნობებით დამოწმებულ ისტორიებზე... ებრაელთა მიერ შვიდი უძლიერესი ხალხის ამოხოცვაზე, მათი სამკვიდრებელი მიწის მისათვისებლად თავიანთივე ღმერთის კურთხევით... რომელთა შორის ქართველთა წინაპრებიც იყვნენ... ქრისტიანთა **“დიდი სჯულის კანონით“,** რომელიც უზენაესი კონსტიტუციის მნიშვნელობისაა მთელი საქრისტიანო მსოფლიოსათვის, ჩვენ, ქართველ ხალხს, ქართულ ეკლესიას, უფლება არა გვაქვს იმ ეკლესიებში მაინც, რომლებიც ჩვენი დიდი წინაპრების დიდმოწამეობით არიან აშენებულ-დანატოვარნი იერუსალიმში და დღემდე გადარჩენილნი ჟამთა რისხვისაგან, ჩვენი წირვა-ლოცვა არ აღვადგინოთ, მაგრამ ისრაელისათვის ეს არაფერს არ ნიშნავს. მან ჩვენ ქვეყანაში გაუტოლა თავისი რელიგიური უფლებები ჩვენს რელიგიურ უფლებებს, თორემ ჩვენ კი არ გაგვიტოლებია მის ქვეყანაში ჩვენი რელიგიური უფლებები ებრაელთა უფლებებისთვის! საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში არსებული ებრაული თემები და სინაგოგები, საბჭოური ათეისტური რეჟიმით დაზარალებულნი, დღეს საქართველოს პარლამენტის მიერ შეთითხნილი კანონებით, ქართველი ხალხის საცოდავი ბიუჯეტიდან წაგლეჯილი თანხებით იღებენ კომპენსაციას, იმ ბიუჯეტიდან, რომელიც ქართველი ხალხის საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილებისათვისაც ვერ გაგვიწვდენია 25 წლის მანძილზე, მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა საქართველოში ოფიციალური მმართველობის წყალობით, თორემ იერუსალიმში, ქართველთა ჯვარის მონასტრის მფლობელი ქართველი ერისათვის, საუკუნეებით დაზარალებული ერისთვის ვინ გაიღებს მისხალს ისრაელის ბიუჯეტიდან – მსოფლიოს ფინანსების მპყრობელი და ქართველთა 26-საუკუნოვანი მეგობარი ებრაელების ქვეყანაში?! და იმ რეალობის ფონზე, რომლითაც იერუსალიმში, ჩვენ, ქართველ ხალხს, იმის უფლებაც კი ვერ მოგვიპოვებია, რომ ჩვენსავე ისტორიულ ტაძრებში ლოცვა აღვავლინოთ და დიდი რუსთველისა და დიდი თამარის საფლავები არ დავკარგოთ, თვითონ, იციკ შავითი, ისრაელის ერთი მოქალაქე, ზარ-ზეიმით, ჩვენი გადარეული და წრეგადასული სტუმართმოყვარეობით განებივრებული, მოდის, საქართველოს უძველეს სამეუფო ქალაქში, მცხეთაში, წმინდა მიწად გამოცხადებულ ქალაქ-მუზეუმში, ჰექტარ მიწას პირად საკუთრებაში ყიდულობს, 2690 წლის წინანდელ შესაძლო და დაუზუსტებელ ებრაულ საფლავებს ეძებს და მათი არსებობის არდავიწყების ნიშნად ჩვენს უძველეს დედაქალაქში, ამასთან ქალაქ-მუზეუმში, თავისი დედაქალაქის ანალოგი ქალაქი სურს რომ აიშენოს და ვერ გრძნობს, რომ მარტო მიწას კი არა მტაცებს, შეურაცხყოფასაც მაყენებს ჩემივე ქვეყანაში არად ჩაგდებით, რადგან მისი საქციელი მისივე ეროვნული მორალური სმენით არის გამართლებული, მისივე ჭეშმარიტი ღმერთითა და მისივე წმინდა წიგნით. იქ, იერუსალიმში, ქრისტეს ქალაქში კი, ქართველთა წინაპრების მიერ აშენებული სახლი უფლისა და სალოცავი მთელი ქართველი ერისა, გასაყიდი და შესყიდული ნივთის მნიშვნელობაზეა დაყვანილი, ხოლო მსოფლიოს ფინანსური კაპიტალისა და ამ კაპიტალით მსოფლიოს ახალი წესრიგის სადავეთა მპყრობელ ჩვენს 26-საუკუნოვან მეგობარ ხალხს, ჩვენდამი **„მადლიერების“** ნიშნად, მხოლოდ ჩემი წმინდა მიწის მითვისება შეუძლია, ჯერ თავისი პოლიტიკური დესანტების მოყვანით ჩემი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლებაში და სათავისო კანონების დაწესებით და მერე, უკვე **„ჩემივე“** კანონმდებლობით, ჩემგან წართმეული წმინდა მიწის დამტკიცება თავის კანონიერ საკუთრებაში! ხოლო თუ არ მივყიდი ჩემს, ჩემი წინაპრების სისხლით გაჟღენთილ ჩემს მშობლიურ მიწა-წყალს, თურმე მის ადამიანურ უფლებებსა და ღირსებებს ვარღვევ! ასეთი კანონებით შემაიარაღა მან თავისივე გამოგონილი მსოფლიოს ახალი წესრიგით!

**დენიზა სუმბაძე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ნუ შევაწუხებთ ტერენტის ნაწამებ სულს



გაზეთ **"ილორის"** იანვრის ნომერში დაიბეჭდა ბატონ მურად მთვარელიძის კრიტიკული წერილი მამანტი როგავას პუბლიკაციის გამო, რომელიც ეძღვნებოდა ტერენტი გრანელის ცხოვრების ეპიზოდებს. ბატონი მამანტი თავის პუბლიკაციაში, რომელიც **"ლიტერატურულ საქართველოში" (№35, 2015 წელი)** გამოქვეყნდა, შეეცადა მკითხველისათვის გაეცნო ტერენტი გრანელის უცნობი ბიოგრაფიული შტრიხები, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდა პოეტის ცხოვრების **"ახალი მემატიანე"**, რომელმაც პუბლიცისტს დაუწუნა თითქმის ყველა აბზაცი და ფაქტების გაყალბებაში დასდო ბრალი. რამდენადაც ვიცით, მამანტი როგავა ტერენტი გრანელის დისშვილია და უჩვეულო არაფერი იყო იმაში, რომ მას სცოდნოდა აქამდე გაუხმაურებელი ეპიზოდები თუ ფაქტები პოეტის ცხოვრებიდან.

ბატონი მურადი თავიდანვე დაუფიქრებია **"სათაურშივე არასწორად დასმულ საკითხს და ამასთანავე არასწორად დასმულ ძახილის ნიშანს"**. მის წერილში კი ბევრი რამ არის დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი. პუნქტუაციის გასწორება შეიძლება, მაგრამ რა ვუყოთ იმ არასწორ წარმოდგენებს, რომლებსაც ავტორი უხვად აფრქვევს იმდროინდელი ეპოქის შეფასებისას, თუმცა ამ შემთხვევაშიც ცდილობს ფრთხილად იყოს და უკანდასახევი გზა არ ჩახერგოს, მაგრამ ნამეტანი **"ენდობა"** იმ საარქივო მასალებს, რომლებიც თურმე **"დიდი სიზუსტით აცოცხლებს ტერენტი გრანელის ცხოვრების რთულ, ტრაგიკულ მომენტებს"**. უკან დასახევი გზა ვახსენეთ და ეს იმაში გამოიხატება, რომ ზოგგან ავტორი არ მალავს, რომ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მეტად რთული ვითარება სუფევდა. არის თუ არა სანდო იმ მეტად **"რთული დროის"** საარქივო მასალები, ამაზე უფრო ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მ. მთვარელიძის წერილი წინააღმდეგობრივია და პუბლიცისტი ვერ ახერხებს თავისი **"უტყუარი ფაქტებით"** დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რაც მას მთავარ სათქმელად და წერილის დედააზრად მიუჩნევია.

წერილის ავტორი წერს: **"ვიდრე ტერენტი გრანელის სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის ეპოპეას შევეხებოდეთ, მანამ გვინდა დავსვათ კიდევ ერთი კითხვა – რა იყო პოეტისათვის სიგიჟე, იქნებ ეს იყო ერთგვარი პოზა, ნიღაბი, რომლის გამოყენებაც იმდროის უკუღმართობით იყო გამოწვეული"**.

ეს მოსაზრება, რომელიც არცთუ უსაფუძვლოდ გამოთქვა ბატონმა მურადიმ, თვითონვე გაამყარა პოეტის ლექსით:

*"და უეჭველად ბედია დღემდე,*
*უეჭველია, ახლა ნიღაბი,*
*და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ,*
*რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი..."*

მას აქვე მოჰყავს ტერენტი გრანელის სხვა ლექსებიც, სადაც პოეტი ამჟღავნებს თავის ფარულ განზრახვას,– იმ ულმობელ ეპოქაში თავი შეაფაროს სიგიჟეს, რათა თანამოკალმეების ბედი არ გაიზიაროს.

ბატონი მ. მთვარელიძე აგრძელებს: **„რაკი რეალობისადმი პოეტმა ჩამოაყალიბა თავისი შეუვალი შეურიგებელი პოზიცია, ტერენტი პირდაპირ ასახელებს ფიზიკური გადარჩენის გზას – სიგიჟეს:**

*ჟამი აღმაფრენის*
*და ფიქრი ნაჩვევი,*
*ღმერთო, გამაფრინე*
*და ქრისტე მაჩვენე.*
*ხელს მაღლა აგიშვერს*
*ცოდვა ადამისა,*
*ღმერთო გამაგიჟე*
*და შენვე დამიცავ"*.

ყოველივე ამ მაგალითების მოყვანის შემდეგ ბატონი მურადი თვითონვე ღალატობს თავის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და სრულიად საპირისპირო დასკვნას აკეთებს. აი, რას წერს იგი: **"მოდი, დავსვათ კითხვა პირდაპირ: იყო თუ არა ტერენტი დაავადებული და ჭირდებოდა თუ არა მას მკურნალობა. რასაკვირველია, პასუხი დადებითი იქნება. პოეტი დაავადდა შიზოფრენიით, რასაც აუცილებლად სჭირდებოდა მკურნალობა"**.

საკმარისად მიგვაჩნია მ. მთვარელიძის წერილიდან ამონარიდების მოტანა, სადაც უხვად აქვს გადმოცემული ურთიერთგამომრიცხავი აზრები. ჩვენი მიზანი არ არის სტრიქონებში ჩაუჯდეთ მას და ზედმეტად გავაღიზიანოთ მკითხველი.

მიუხედავად, თავიდან მცურავი აზრების შემოთავაზებისა, ბოლოს და ბოლოს ბატონი მურადი გათამამებული მიდის იმ მიზნისაკენ, რაც მას ადრევე ჰქონდა დასახული – წარმოეჩინა ტერენტი გრანელი ფსიქიკურად დაავადებულად და ამის დასადასტურებლად გვთავაზობს პოეტის ავადმყოფობის ისტორიას, რომელიც მას თურმე სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს არქივიდან ამოუწერია. ის ამბობს: **"დანარჩენს მკითხველი ავადმყოფ ტერენტი გრანელის "ავადმყოფობის ისტორიაში" წაიკითხავს, რომლის დაბეჭდვისაგან გარკვეული მოსაზრების გამო აქამდე თავს ვიკავებდით. ამ წერილის** (ე.ი. მ. როგავას წერილის) **წაკითხვის შემდეგ კი გადავწყვიტეთ ეს დოკუმენტი დღის სინათლეზე გამოგვეტანა"**-ო.

რა წერია ისეთი მამანტი როგავას წერილში და რამ გააბრაზა ბატონი მურადი ისე, რომ მოთმინების ფიალა აევსო და გამოააშკარავა ის, რასაც **"გარკვეული მოსაზრებით"** აქამდე მალავდა? ერთადერთი მიზეზი ამ თავშეუკავებლობისა გახდა ის, რომ მამანტის მტკიცებით ტერენტი ძალით მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და მას იქ ძალზე ცუდად ექცეოდნენ. ბატონი მურადი კი ცდილობს საპირისპირო დაგვიმტკიცოს.

გასული საუკუნის იმ ავადსახსენებელ ოცდაათიან წლებში ბევრი გამოჩენილი მწერალი, მხატვარი, თეატრალური მოღვაწე იქნა დახვრეტილი, უკეთეს შემთხვევაში გაციმბირებული. ტერენტი გრანელი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. შეიძლება ეს ტერენტის **"არჩევანიც"** ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში პოეტს, რომელსაც თუნდაც ერთი ლექსი არ მიუძღვნია ლენინ-სტალინისათვის, ბოლშევიკებისათვის, კოლექტივიზაციისა და **"ახალი ცხოვრებისათვის"** უეჭველად ის განაჩენი ელოდა, რაც გამოუტანეს მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, ნიკოლო მიწიშვილს, სანდრო ახმეტელსა და ბევრ ნიჭიერ შემოქმედს, რომლებიც არ ასრულებდნენ მთავრობის შეკვეთებს და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ მხოლოდ თავიანთი გულისა და სინდისის კარნახით.

ბატონი მურადი იმოწმებს ტერენტის ნაცნობებს, ახლობლებს და მათი ნათქვამით გვიმტკიცებს, რომ იგი შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბატონო მურად, იქნებ განძრახ იქცეოდა ტერენტი ასე საეჭვოდ, სხვაგვარად როგორ უნდა დაემტკიცებინა საზოგადოებისა და მით უფრო მთავრობისთვის, რომ სრულ ჭკუაზე არ იყო?! თქვენ დიდი მონდომებით წერთ, რომ მას საავადმყოფოში გულისხმიერად ექცეოდნენ და განსაკუთრებულ პატივში ჰყავდათ, რადგან იცოდნენ მისი ფასი. იმასაც კი წერთ, რომ ექიმები მას თავის ნებაზე უშვებდნენ და ტერენტის საშუალება ეძლეოდა ზოგჯერ, როცა ძალიან მოენატრებოდა, თბილისშიც გამგზავრებულიყო.

ტერენტი მთავრობის გადაწყვეტილებით იყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებული და ვერ დავიჯერებთ იმას, რომ იგი იქ განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა, ვინაიდან ძალიანაც რომ ნდომებოდათ ექიმებს მისი პატივისცემა, მაინც ვერ გაბედავდნენ. მეთვალყურეები და დამსმენები უეჭველად იმ საავადმყოფოშიც იქნებოდნენ.

იმაში დაგეთანხმებით, რომ პოეტები და საერთოდ შემოქმედი ხალხი თავიანთი ემოციურობით განსხვავდებიან ჩვეულებრივი ადამიანებისგან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი გადარეულები არიან. ტერენტი გრანელის შემოქმედება რადიკალურად განსხვავდება სხვა პოეტთა ნაწარმოებებისგან. შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერჯერობით ერთადერთი მისტიკოსია ქართულ პოეზიაში. **„MEMETO MORI"** შიზოფრენიკის დაწერილი პოეტური კრებული კი არ არის, არამედ ის ღმერთთან მოსაუბრე ადამიანის საგალობელია, რომელმაც მხოლოდ პოეზიით იცხოვრა ამ ცოდვილ მიწაზე.

ბატონო მურად, ამ წერილს საერთოდ არ დავწერდით, თქვენს პუბლიკაციას მრავალთა გულისწყრომა რომ არ გამოეწვია. შეიძლება თქვენ სულაც კეთილშობილური მიზანი გამოძრავებდათ, გსურდათ გეჩვენებინათ თუ როგორი სიყვარულით ეპყრობოდნენ ტერენტის სურამის საავადმყოფოში, მაგრამ კალამი ისე წაგივიდათ, რომ სულ სხვა სურათი დახატეთ.

ცალკე მსჯელობის საგანია თქვენს მიერ მოპოვებული **"ავადმყოფობის ისტორიის"** საკითხი. ჩვენთვის გაურკვეველია რა უფლებით მოგცეს თქვენ ამ საიდუმლო დოკუმენტის გადაწერის უფლება, რამეთუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მთავრობის მიერ მოთავსებული ცნობილი პიროვნების **"ავადმყოფობის ისტორია"** დახურული იყო და მასზე უშიშროების ნებართვის გარეშე ხელი არავის მიუწვდებოდა. თქვენ თურმე ნაცნობობით მიაღწიეთ ამას, გადაიწერეთ ყველაფერი და მერე, როგორც თვითონ იტყობინებით, ეს მასალები საავადმყოფოდან გაქრა. თქვენ წერთ: **"საგულისხმოა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი შემდგომ ხანებში გაურკვეველ ვითარებაში გაქრა და დღეს ის აღარ არსებობს. ამიტომ ჩემს მიერ გადაწერილ ტექსტს პირველწყაროს ფუნქციას ვანიჭებ"**. ბევრ კითხვას ბადებს თქვენი სტრიქონები, ბატონო მურად, მაგრამ ამჟამად მეტს არ გავაგრძელებთ, მხოლოდ ერთს გეტყვით: მოგვიტევეთ თქვენს მიერ გადაწერილ ტექსტს პირველწყაროდ თუ ვერ მივიღებთ. არ ვიცით ასლი დედანთან სწორია თუ არა. ნუ იფიქრებთ, რომ სიცრუეში გადანაშაულებთ. უბრალოდ, გადამწერის ტექსტი პირველწყაროდ არ ჩაითვლება თუ მას რაიმე იურიდიული საფუძველი არ გააჩნია, ან მისი სისწორე ნოტარიუსით არ არის დამტკიცებული.

**"მძიმე იყო ტერენტი გრანელის ცხოვრება, ავი დროებით სიცოცხლეგამწარებულს, არც იმ სოფლად დაკლებია დევნა — სატანის მსტოვრები მისი სახელის აღმოფხვრასაც კი ცდილობდნენ, მაგრამ ღვთიური ხვედრით წილხვდომილმა საუკუნოვანი ომი გადაიხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან — დროსთან და სძლია იგი: მისმა ნაგვემმა სულმა ლოცვით გამოაღწია მეოცე საუკუნის მშფოთვარებასა და ულმერთოებას და, გაწმინდანებული, ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან ლეგენდად მდგარი, განახლებულის ძალითა და რწმენით გვიხმობს..."**

ოცდაათიან წლებში გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი როცა დახვრიტეს ან გააციმბირეს, ყველას მიმართ დაიწერა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის მიხედვით ისინი ხალხის მტრებად, უცხო ქვეყნის აგენტებად და სამშობლოს მოღალატეებად იყვნენ გამოცხადებული. თქვენს მიერ მოპოვებული ტერენტი გრანელის **"ავადმყოფობის ისტორიაც"**, სწორედ ამგვარი **"სიმართლით"** არის შედგენილი.

გალაკტიონ ტაბიძემ რეპრესიებისაგან თავის დაცვის სხვა ხერხს მიმართა. ის კომპრომისზე წავიდა და დაწერა **"იდეურად გამართული"** ლექსებიც, მაგრამ ესეც რომ არ იკმარეს, საკუთარი თავი გამოუსწორებელ ლოთად გამოაცხადა. ცნობილი ამბავია, რომ ერთხელ, მწერალთა კავშირის თათბირზე დაბარებულმა გალაკტიონმა სასადილოში ნაცნობ მებუფეტესთან გამოიარა, ჯერ ჭიქა ღვინო დალია, შემდეგ ბოთლში ჩარჩენილი სითხე პეშვებით სახეზე შეისხა, წვერ-ულვაში ღვინოთი დაალბო. როცა გაკვირვებულმა მებუფეტემ ჰკითხა, ეს რა გააკეთეო, გალაკტიონმა თურმე ღიმილით უჩურჩულა: **ასე აქოთებული რომ მივალ, იტყვიან წყალწაღებულიაო და ყურადღებას არ მომაქცევენო.** ოცდაათიანი წლების ქარიშხალმა გადაიარა და ვითარებაც შეიცვალა, მაგრამ იმ ავბედითობის მსხვერპლი ბევრი გახდა. ასეთი რამ სხვა ეპოქაშიც ხდებოდა. ალბათ ამის გამო გაჩნდა ცნობილი აღმოსავლური წყევლა: **გეცხოვროსო დიდი ცვლილებების ჟამს.**

ნუ შევაწუხებთ ტერენტის ნაწამებ სულს. ვიკითხოთ მისი მშვენიერი ლექსები და არა მისი **"ავადმყოფობის ისტორია"**. ქართველმა ხალხმა მას დიდუბის მწერალთა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა ბინა და ამით პატივი მიაგო მის ღვთაებრივ ნიჭს.

ჩვენი წერილი გვინდა დავამთავროთ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ტერენტი გრანელის შემოქმედების მკვლევარისა და ერთ-ერთი გადამრჩენელის ბატონ ლერი ალიმონაკის მიერ პოეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის წინასიტყვაობით, რომელიც 1977 წელს გამოიცა:

**"მძიმე იყო ტერენტი გრანელის ცხოვრება, ავი დროებით სიცოცხლეგამწარებულს, არც იმ სოფლად დაკლებია დევნა – სატანის მსტოვრები მისი სახელის აღმოფხვრასაც კი ცდილობდნენ, მაგრამ ღვთიური ხვედრით წილხვდომილმა საუკუნოვანი ომი გადაიხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან – დროსთან და სძლია იგი: მისმა ნაგვემმა სულმა ლოცვით გამოაღწია მეოცე საუკუნის მშფოთვარებასა და ულმერთოებას და, გაწმინდანებული, ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან ლეგენდად მდგარი, განახლებულის ძალითა და რწმენით გვიხმობს ახალ საუკუნესთან მისაახლებლად"**.

ამ ახალ საუკუნეში მაინც ნუ დავადევნებთ უკან ბინძურ ჭორებსა და ცილისწამებას. მისი ცხოვრების ისტორია მისავე ლექსებში იკითხება.


**გიორგი სიჭინავა,**
მწერალი;

**ზაურ ბახარია,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს წევრი

# ამერიკა რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს!

*„მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი*
*რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?”*
**ილია**

2009 წლის 1 სექტემბერს პოლონეთში, კერძოდ, გდანსკში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყების 70-ე წლისთავს მიეძღვნა. ყველაზე მნიშვნელოვანი და პარადოქსული ამ კონფერენციაზე გახლდათ მსოფლიო ლიდერების მიერ ომის დაწყებაში იოსებ სტალინის დადანაშაულება (?!). პოლონეთის მხარდამჭერები იყვნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ბალტიის ქვეყნები. მერკელმა არაერთხელ აღიარა გერმანიის მიერ განხორციელებული დანაშაულები, რუსეთის პრემიერი ვლ. პუტინი, როგორც ყოველთვის, შეუვალი აღმოჩნდა და სტალინის **“დანაშაული”** არ აღიარა!

**არაერთხელ თქმულა, რომ სტალინის ეპოქა იყო დიდი აღმავლობის ხანა ჩვენი ქვეყნისათვის. ამის შესახებ საუბრობს უწმინდესიც და მიაჩნია, რომ სტალინი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მორწმუნე მართლმადიდებელი იყო. ჩვენი დასავლური აზროვნების მქონე ლიბერალური ხელისუფლება ბ.ივანიშვილის სახით ამ შეფასებებს უარყოფს და სტალინის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს (?!). როგორ შეაფასებს საქართველოს მოსახლეობა ამერიკის შეკვეთით მოსული ხელისუფლების მოღვაწეობას 2016 წლის არჩევნების დროს?**

ამ იდეოლოგიის გამოძახილია სულ ახლახანს ესტონეთის ინიციატივა სტალინიზმის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ, რომელსაც უერთდება ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი, პოლონეთი და რაოდენ გამაოგნებელიც არ უნდა იყოს – საქართველოც!

1939 წლიდან სტალინმა სათავე დაუდო ნამდვილი სოციალიზმის მშენებლობას, მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ შეფასდა მისი სიკეთეები, რასაც ხრუშჩოვის მიერ მოჰყვა ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება, სტალინის პოლიტიკის დაკნინება და ფარულად, ნელ-ნელა კაპიტალიზმის აღდგენა. ამ გარემოებამ, ფაქტიურად, ნაციონალიზმისა და ფაშიზმის განვითარებამდე მიგვიყვანა და სტალინის გასამართლებას ის ქვეყნები ითხოვენ, რომელნიც ფაშიზმის მონობისაგან იხსნა. ევროპის ფაშისტური ძალებისაგან განსხვავებით, რუსეთი ცდილობს გენეტიკური ქართველების – სტალინისა და ბერიას რეაბილიტაციას, რაზეც მეტყველებს პუბლიკაციები საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებზე ჩატარებული ობიექტური გამოკვლევებისა, მათი საქმიანობის მნიშვნელოვნად დადებითი როლიც იკვეთება: გააუვნებელყვეს მავნებელთა ბანდა, დაახლოებით 300.000 კაცი, რომელნიც დათარეშობდნენ სსრკ-ს ტერიტორიაზე, აწყობდნენ ტერორს და საბოტაჟს. რაც შეეხება რეპრესიებს, სტალინს 1927 წლამდე, სანამ ტროცკი ქვეყნის სადავეებს არ ჩამოაშორა, რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა. ხალხს ხვრეტდნენ ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის და ტუხაჩევსკის ბრძანებით. ცნობილია სტალინის რჩევა შესაბამისი სტრუქტურებისადმი: **“სჯობს 100 დამნაშავე გაამართლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯო”**. მისი საზრუნავი მშრომელთა კეთილდღეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა იყო.

მსოფლიო დადგა იმ რეალობის წინაშე, რომ კაპიტალიზმმა არ გაამართლა და სოციალიზმის აღდგენის წინაპირობაა შექმნილი. იმპერიალისტურმა ძალებმა თავიანთი არსებობის გასახანგრძლივებლად სტალინის ეპოქის გასამართლება დაისახეს მიზნად და დიდი ალბათობით, ეს იდეა ამერიკელთა ბინძურ თავებში დაიბადა, ისევე, როგორც ომები **“დემოკრატიისათვის”, “მშვიდობისათვის”, “ტერორიზმის წინააღმდეგ”** და ა.შ. მეტიც, 2016 წლისთვის ამ ცხელი თავების ინიციატივით მსოფლიოს ხელოვნურად გამოწვეული კრიზისი ელის, როკფელერებისა და როტშილდების ბიზნესიმპერიების გაერთიანების ფონზე, რაც დედამიწის მცხოვრებთა 6 მილიარდით შემცირებისკენაა მიმართული. სტალინის ეპოქის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, ნიშნავს ლეგენდარული, მსოფლიოს გადამრჩენელი ღირსეული პიროვნების დანატოვარი სიკეთეები დავივიწყოთ.

სწორედ ფაშისტური იდეოლოგიის მქონე ქვეყნები – საფრანგეთი და ინგლისი ეხმარებოდნენ და უბიძგებდნენ ჰიტლერს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისაკენ. სტალინისთვის ცნობილი იყო, რომ პროვოკაციის დეტალები ბრიტანულ სპეცსამსახურებში იგეგმებოდა და პოლონელები ჩერჩილის დახმარებით ფიქრობდნენ შემდგომში პოლონეთის განთავისუფლებას, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი მოლოტოვ-რიბენტროპის შეთანხმების თანახმად სტალინმა ერთგვარ ბუფერად გადააქცია საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში.

სტალინის ძალისხმევით მოკლე დროში (1946-1952) საქართველო მაღალგანვითარებული ქვეყანა გახდა და ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ათეულში მოხვდა. თავის ნაშრომში **„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში”** წერს, რომ გატარებული რეფორმები დაფუძნებული იქნება ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ ღირებულებებზე. ცნობილი ფაქტია, რომ სტალინის ნაშრომით სოციალიზმის ეკონომიკური განვითარების შესახებ იხელმძღვანელა ჩინეთმა და დღეს მისი ეკონომიკა ერთ-ერთი მაღალგანვითარებულია მსოფლიოში.

არაერთხელ თქმულა, რომ სტალინის ეპოქა იყო დიდი აღმავლობის ხანა ჩვენი ქვეყნისათვის. ამის შესახებ საუბრობს უწმინდესიც და მიაჩნია, რომ სტალინი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მორწმუნე მართლმადიდებელი იყო. ჩვენი დასავლური აზროვნების მქონე ლიბერალური ხელისუფლება ბ.ივანიშვილის სახით ამ შეფასებებს უარყოფს და სტალინის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს (?!). როგორ შეაფასებს საქართველოს მოსახლეობა ამერიკის შეკვეთით მოსული ხელისუფლების მოღვაწეობას 2016 წლის არჩევნების დროს?

რუსეთის იმპერიას ყველაზე აგრესიულ, მტრულად განწყობილ ქვეყნად მოიაზრებენ დღეს მსოფლიო ლიბერალები, მაგრამ ფაქტობრივად, საქართველოს რეალური მტერი ის დასავლური ძალებია, რომელნიც გაშმაგებით ცდილობენ ქართველი ერის ჭეშმარიტი ღირებულებების შეცვლას. აი, რას ამბობს ზვიად გამსახურდია **“ნაროდნაია პრავდასთვის”** მიცემულ ინტერვიუში (1992წ., 3 ნოემბერი): **“როცა ამ მთავრობებს სურთ გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, უბრალოდ ამხობენ მას”**. ზვიადი ვერ მოისყიდეს და დაამხეს, ხოლო შემდგომი ხელისუფლებები მოისყიდეს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ბ-ნ ბიძინას ჭეშმარიტად ეროვნული საქმის გაკეთება შეეძლო, თუ ღირსეულ პოლიტიკურ ძალას შექმნიდა, რომელიც ეროვნული ღირებულებების დასაცავად იბრძოლებდა, მაგრამ, მან, სამწუხაროდ, ნეოლიბერალური პოლიტიკის აღზევებას შეუწყო ხელი, დასავლური ძალების მარიონეტად იქცა და ქვეყანა ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების ობიექტად აქცია, ამერიკის ოცნების განხორციელებასა და სახელისუფლო წრეების კეთილდღეობას ანაცვალა ჩვენი სამშობლოს მომავალი.

ჩემს ოპონენტს, რომელიც წინა წერილში ივანიშვილისადმი ჩემს დამოკიდებულებას კრიტიკულად შეხვდა, მინდა ვუთხრა, რომ როგორც ყველა ქართველი, მის პოლიტიკაში მოსვლას სიხარულით შევხვდი, გავწევრიანდი კიდეც, მაგრამ დღეს, იმის გამო, რომ ივანიშვილი ქართველი ინტელიგენციის სახეებს ეხმარებოდა, მას კერპად ვერ ვაქცევ. ჩემი კერპი – ჩემი სამშობლოა და როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მეოცნებეთა მსგავსად გაგებით კი არ ვხვდები ცისფერი უკანალების თამაშს საქართველოში დივიდენდების სანაცვლოდ, არამედ, ვოცნებობ საქართველო ევრო-ამერიკელი იმპერიალიზმის ანტიქრისტიანული, ანტიმართლმადიდებლური მასონური მარწუხებიდან განთავისუფლდეს! ეს ყველა ქართველი პატრიოტის ოცნებაა! კიდევ ერთხელ განვმარტავ: ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა იყო დადებითი მოვლენა მხოლოდ იმ ფონზე, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო შექმნილი. უფრო კონკრეტულად – სახელმწიფო ტერორის, ერთპიროვნული დიქტატორული მმართველობის, შეკვეთილი მკვლელობების, კერძო საკუთრების ხელყოფის, ცილისწამებების, კრიმინალის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის, სიბილწისა და უზნეობის ფონზე. ზოგიერთი ბიძინისტი იმასაც ამბობს, ბიძინას გარეშე საქართველო დაიღუპებაო (?!) საქართველო დავით აღმაშენებლის, ილიას გარეშე არ დაღუპულა და უბიძინობას როგორღაც გადავიტანთ, მთავარია გავერთიანდეთ არა კერძო პიროვნების მიმართ სიმპათიის გამო, არამედ იმ იდეით, რომელიც დასავლეთს ეტყვის – არა! და რუსეთთან აღადგენს დიპლომატიურ ურთიერთობას.

საქართველოს ხელისუფლებისა და ევროპის ქვეყნების მიერ სტალინის ეპოქის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადება, რომელმაც გაიარა ურთულესი გზა და მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა, თავად არის დანაშაული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში დღეს მსოფლიოს გადამრჩენისა და გენეტიკურად ქართველის, სტალინის ძეგლის დადგმას ეწინააღმდეგებიან და სანაცვლოდ მისი იდეოლოგიური მოწინააღმდეგისა და მტრის, ამერიკის ექსპრეზიდენტის – რეიგანის ძეგლი გვაქვს, ასევე ალიევისაც. ეს კი ამერიკელთა დირექტივების უპირობო შემსრულებლისა და სახელმწიფოებრივი ხედვის არმქონე მოქალაქის, ბ. ივანიშვილის დამსახურებაა.

საქართველოს არაეროვნულმა ხელისუფლებამ ტყვია ესროლა ერის სიამაყეს – ილია ჭავჭავაძეს; კრიმინალმა ხელისუფლებამ ტყვია ესროლა ეროვნული ღირებულებების დამცველს – გურამ შარაძეს; ამერიკელთა ნაბახუსევით ნაკვები ხელისუფლება, რომლის **„ქართული”** სულიერება სადღაც ვირტუალურ სივრცეშია გამოკეტილი, ტყვიას ესვრის ყველაზე მაღალგანვითარებულ ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში, რომლის დონესაც ვეღარასოდეს მივაღწევთ. თავად სტალინს კი ამერიკელთა მიერ მოსყიდულმა ვირთხებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე სოციალიზმი რომ დაენგრიათ. სტალინის ეპოქის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადება ამერიკელების მიერ საქართველოში **ნატო**-ს საწვრთნელი ცენტრის გახსნასთან ერთად, რაც რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ გადადგმული პროვოკაციული ნაბიჯია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოწესრიგებას არ ემსახურება, ამერიკა რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს! მხოლოდ გონებასუსტი დაიჯერებს, რომ ამერიკა ამ ნაბიჯით საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნავს! მოკლედ, ამერიკული იმპერიალიზმი, რომელიც მსოფლიოზე გაბატონებას ესწრაფვის, შეგნებულ და მიზანმიმართულ ბრძოლას უცხადებს რუსეთს და ეწინააღმდეგება ქართულ-რუსული ურთიერთობების დათბობას. ეს გარემოება ჯერ კიდევ რუსეთის ოლიმპიადის დროს გამოიკვეთა, როცა საქინფორმის ინფორმაციით, პრეზიდენტი ამერიკელ ფაშას კალთაზე ემთხვია და მოსკოვში წასვლის ნებართვა ითხოვა, მაგრამ პასუხი შეუვალი იყო: **“ჩვენს აზრს არ შევიცვლით, ევაჭრეთ ყველას, გარდა ამერიკისა”.** ამერიკის ხელისუფლებამ ღიად დააფიქსირა ანტირუსული განწყობა და საქართველოსაც მოუწოდა იგივე დამოკიდებულება იქონიოს რუსეთთან. სანაცვლოდ, სულ ახლახან 4 მილიარდ 300 მილიონი დოლარი გამოუყო საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას რუსეთის ვირტუალური აგრესიისაგან თავის დასაცავად, ხოლო ბათუმის პორტში **ნატო**-ს 4 გემი შევიდა, რაც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობისთვის საფრთხის შემცველია.

ამერიკა ფაშისტურ ქვეყნად იქცა და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში დესტაბილიზაცია შეაქვს, მაგრამ თავად საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ნატოს საწვრთნელ ცენტრს ხსნის რუსეთთან გართულებული სიტუაციის ფონზე, სახელმწიფოებრივ აზროვნებას მოკლებულია. არ არსებობს ისეთი სამხედრო ძალა მსოფლიოში, რუსეთს რომ დაუპირისპირდება და საქართველომ განა რა უნდა შექმნას ასეთი? საქართველოსთვის ეს მხოლოდ საფრთხის შემცველია, რომელიც ჩვენს ძირძველ ტერიტორიებს სამუდამოდ დაგვაშორებს, რუსეთთან ურთიერთობას გაგვირთულებს და ისლამური ხალიფატის გააქტიურებასაც გამოიწვევს კავკასიაში.

როცა ხელისუფლებამ კახელებს საძოვრები გაუყიდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის დოკუმენტი პრემიერს შეუცურეს. ახლა რა ღირდა ხელისუფლების ეს ღალატი და შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ, რომლითაც სრულიად საქართველო ამერიკის გავლენის სფეროდ და **ნატო-ს** სამხედრო ოპერაციების პოლიგონად აქციეს?! სამწუხაროა, რომ საქართველოში დღეს არ არსებობს ძალა, რომელიც ეროვნული იდეოლოგიით იხელმძღვანელებს და იმოქმედებს, სამაგიეროდ არსებობს **“პატრიოტთა ალიანსი”**, რომლის ხელმძღვანელი ბ-ნი თარხან-მოურავი გვაიმედებს: **“ჩვენ უკეთეს პარტნიორობას გავუწევთ მათ”** (ამერიკელებს?!) უკეთესი პარტნიორობა კი სხვა არაფერია, თუ არა ამერიკული დირექტივების უკეთესად შესრულება და უფრო მეტად დამონება დასავლური ძალებისადმი. **“პატრიოტებად”** წოდებულთა ალიანსის წარმომადგენლებს არასოდეს გაუპროტესტებიათ დასავლური ძალების მიერ წინა კრიმინალური ხელისუფლების ლობირება, სამაგიეროდ, აპროტესტებდნენ სამართლიანობის არაღდგენას, რაც, ასევე, ამერიკელთა ნების უქონლობას უკავშირდება.

ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები, რომელნიც საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვას უარყოფითად აფასებენ, დღეს **“პატრიოტთა ალიანსის”**, ანუ იდეოლოგიურად განსხვავებული პარტიის გვერდით დგანან. ხომ არ არის ეს შესაძლო თანამდებობრივი თუ საპარლამენტო სავარძლების ხიბლით გამოწვეული?

ქართული მიწა კვნესის, ხოლო ქართველი პოლიტიკოსები ფერხულს უვლიან ერთი ქართული ანდაზის ტექსტზე: **“ასე, ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო”.**

**იზა თამაზაშვილი**

# მოგზაურობა კავკასიაში

## სვატოპლუკ ჩეხი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ამბობენ, ზოგჯერ როკვა სიშმაგეში გადაიზრდებაო, ეხლოტებიან კედლებს, დარბიან მაგიდებსა და სკამებზე, შეწვდებიან ჭერს, ათასნაირ თავსამტრევ ტრიუკებს ასრულებენ. ნორმალური ადამიანები ყველაფერ ამას ვერ გააკეთებენ.

ამიერკავკასიის სექტანტების ბირთვს შეადგენენ **„მალაკნები"** და **„დუხაბორები"**. კავკასიაში საოცარი ამბები შევიტყვე ამათი წირვის შესახებ. თითქოს შეიყრებიან სალოცავად, მერე ერთბაშად ჩაქრება შუქი და ქალები და კაცები ამაზრზენად ბაძავენ მოძღვარს, რომელიც წმინდა იოანეს ამაღლებულ სიტყვებს – **„შეიყვარეთ ერთმანეთი"** – თავხედურად იყენებს ამ ორგიის წარსამართავად, მაგრამ ჩეხი ამბობს, ეს ყველაფერი მონაჩმახიაო.

**„მალაკნები"** შინ დილიდან საღამომდე ლოცულობენ. სადილამდე და სადილის შემდეგ ლოცვები, როგორც წესი, მართლმადიდებლურია. ზოგჯერ შეიკრიბებიან რომელიმე ქოხში სახარების მოსასმენად, **„დუხაბორები"** კი უგულვებელყოფენ ლოცვებს, პატივს არ ცემენ საღვთო წიგნებს და ამბობენ, რომ ხსნა მოგვენიჭება არა წიგნის, არამედ სულის მეშვეობითო. შეიკრიბებიან და კედლის გასწვრივ მერხებზე ჩამოსხდებიან, ცალ მხარეს მამაკაცები, მეორე მხარეს – ქალები. დაიწყებს ერთი ფსალმუნებას, აგრძელებს მეორე და ასე შემდეგ რიგრიგობით, ოღონდ არავინ არ უნდა გაიმეოროს წარმოთქმული. შემდეგ წამოდგებიან და ეთაყვანებიან ღვთის ცოცხალ ხატებას, ანუ ადამიანს. ჩაჰკიდებენ ხელს და ერთმანეთს მკერდზე ეყრდნობიან, შემდეგ ჰკოცნიან ერთმანეთს, იმეორებენ სამჯერ ამ თაყვანისცემასა და კოცნას. მაგრამ კაცები კაცებს ჰკოცნიან, ქალები ქალებს. **„მალაკნები"** კი კოცნისას არ დაგიდევენ, ქალია თუ კაცი, რაც უფრო გონივრულია, ვიდრე, სამწუხაროდ, ასაკის განურჩევლობა.

**„მალაკნები"** იცავენ მარხვასა და საზოგადოებრივ აღსარებას, **„დუხაბორები"** უარყოფენ მარხვას და სხვა წესებსაც. ჩვენსავე სხეულში დასადგურებული სული გაგვწმენდს ცოდვებისაგანო.

როგორიც არ უნდა იყოს ამ სექტების რწმენა, ერთი რამ ცხადია – ეს რელიგია მათთვის ხელსაყრელია. ხალისიანად გამოიყურებიან, სიტყვას თავისდღეში არ გატეხენ.

მათი დაბები გეგმიანი და სუფთაა და უცხო კაცზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. მეც ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა მათი სოფლების დათვალიერებისას.

მანგლისის ახლოს გაშენებული რუსული სოფლის შემოგარენი ბუნდოვნად შემორჩა ჩემს ხსოვნას. ამაოდ ვძაბავ გონებას, რათა აღვიდგინო მეხსიერებაში მთაგორიანი ქართული სოფლების მომხიბლავი სურათები, იქაური ლხინი, ყველაფერი თითქოს სველი ტილოთი წაშალა ვიღაცამ. მარტო ის მახსოვს, რომ ჩემი მოგზაურობის მთელ მანძილზე აქ განსაკუთრებული ჭირ-ვარამი ვიწვნიე. მოკლე ჩერქეზულ უზანგში მუხლი ვერ გავშალე და ფეხებში ტეხა დამიწყო, ვიწრო უნაგირი ნამდვილი წამების იარაღად მექცა, სწორედ ისეთად, როგორშიც ძველი დროის ბატონები სვამდნენ ხოლმე ჯიუტ გლეხებს. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა, გულმუცელი მეწვოდა მოუთმენელი წყურვილისაგან.

გზას კი დასასრული არ უჩანდა, ხეობას ხეობა მოსდევს, მთის გაღმა მთა აღმართულა, მანგლისამდე კი ჯერ შორსაა, თანაც ყურში ჩამესმის ჩემი ამხანაგის გაუთავებელი ბურტყუნი, ლოკოკინებივით მოვფოფხავთო, ასე მანგლისამდე შუაღამემდე ვერ მივაღწევთო.

კარგა ხნის შემდეგ ისევ დუქანს მივადექით, მე ცხენიდან ხელი გავიშვირე ჭიქა წყლისაკენ, რომელსაც მედუქნე მაწვდის და უცებ უნაგირიანად ცხენის ქვეშ გავიშხლართე, გაოცებული მედუქნის თვალწინ.

შემდეგ მივუყვებით ლამაზ მინდორს, რომელზეც ცხენების რემა სძოვს, უცებ ჩვენმა ცხენებმა თავი მოაბრუნეს, მკერდი დაბერეს ძლიერი ნახტომისათვის და ერთი წამის შემდეგ ფრიალოს ზედ გადაევლნენ, რის ვაივაგლახით დავუბრუნდით სწორ გზას.

როცა ჩვენმა ტანჯვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ჩემი მოთმინების ფიალა აივსო. ველური ვაზით შემოხვეული ჭადრების ქვეშ ჩამოვქვეითდით და სურნელოვან ბალახზე გავიშოტე. ეს იყო უნეტარესი წამები, ფეხები ნებივრად გავშალე, თავქვეშ ხელები ამოვიწყვე და ზანტად შევცქეროდი გარემოს; აგერ ცისფერი ნაზად ერწყმის ფოთლების ზურმუხტს, ცხენი ნებივრად წიწკნის ლორთქო ბალახს, ობობა კი, თითქოს საგანგებოდ გაუფერადებიათო, შავ ხავერდს ოქროს ზოლები დაჰყვება (ავსტრიის სახელმწიფოს ოფიციალური ფერები).

სამწუხაროდ, ნეტარება დიდხანს არ გაგრძელებულა, ამხანაგმა იძულებით შემსვა ჩერქეზულ საწამებელზე, დავემორჩილე მხოლოდ იმ პირობით, რომ ვივლიდით მსუბუქი ჭენებით, უახლოეს დუქანში ჩამოვსხდებოდით და ამხანაგი არ მიაპყრობდა ჩემს ყურადღებას ბუნების სილამაზეს.

მზე უკვე შესამჩნევად გადაიხარა დასავლეთისაკენ, ჩრდილოვან ხეობაში გაწოლილი მანგლისი გამოჩნდა, ჩვენც სიცოცხლის ნიშანწყალი დაგვეტყო. თავდაპირველად გამოჩნდა ძველი მანგლისი – ახალი, ევროპული მანგლისის ტლანქი აზიელი მამა. იგი ცარიელი, უსიამოვნო შესახედაობისაა, როგორც ყველა აქაური აზიური ქალაქი, მჭიდროდ, უწესრიგოდ მიყრილი, შეულესავი ბანიანი სახლები, რუხი კედლებითა და ვიწრო საკვამურებით. მოშორებით ჩანდა ხშირი წიწვნარის წინ გაშენებული ახალი მანგლისის შიფერით ან კრამიტით გადახურული სახლები.

ახალ მანგლისს შებინდებისას მივაღწიეთ, გავჩერდით ერთსართულიანი სახლის ეზოში, სადაც ჩემი მეგობრის კოლეგა, სამხედრო კაპელმაისტერი შუმანი ცხოვრობდა.

შუმანი წარმოშობით გერმანელი იყო, მგონი სულაც პრუსიელი, მაგრამ რუსულად გამართულად და სიამოვნებით ლაპარაკობდა. ჩანდა, რომ ახალგაზრდა ცოლისა და მშვენიერი ბავშვების გარემოცვაში, ოჯახური ბედნიერება ვერ დაუჩრდილავს სამშობლოს სიშორეს და ის ევროპული სინატიფე, რაშიაც იგი გაიზარდა. თუმცა მას ისე მოუწყვია სახლი, რომ აღარც კი იგრძნობოდა სამშობლოს სიშორე. იგი ევროპულ ყაიდაზე, ლამაზად, ჩინებულადაც კი იყო მოწყობილი. მთელი დღის წვალების შემდეგ სიამოვნებით წამოვწექით ზამბარებიან დივანზე ვახშმობამდე. ვახშამი დიდი არაფერი ბედენა იყო, საუბრით კი გაცხოველებით ვსაუბრობდით აღმოსავლეთის ორიგინალური ცხოვრების შესახებ, თითქოს ამ ქვეყნიდან ჩვენ გვყოფდა არა ტალახით შელესილი სიფრიფანა კედელი, არამედ დიდი სივრცეები.

ბევრი ვერაფერი გამოვიტანე ამ საუბრიდან, რადგან მას ერთვოდა შუმანის შვილების ჟღურტული, რომლებიც ფურცლავდნენ **„გარტენლაუბსის"** ძველ წელიწადეულს, მათი ხმა თანდათან გადადიოდა გაურკვეველ ხმაურში, რომელიც მაგონებდა ხომალდის გვერდებზე ზვირთის ცემას – ამ ქვეყნად ყველაზე წარმტაცსა და უძლიერეს იავნანას.

მეორე დღე დადგა... ნისის ქვეშ, საღამომდე ხამუშ-ხამუშ წვიმდა.

გავხსენით ქოლგა და მანგლისი შემოვიარეთ. დიდხანს კი მოვდომებივართ აქაურობის თვალიერებას, აქ არც კაზინოა, არც ქვაფენილიანი ქუჩები, არც მაღალი სასტუმროები, არც გაცხოველებული ხმაური. მანგლისი უფრო მოზრდილი სოფელია, სადაც გაუშენებიათ ღარიბული საზაფხულო აგარაკები. მაგრამ ეს უბრალო, მეტწილად ერთსართულიანი სახლები შეღებილი ხის ბოძებითა და სურათებით უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდნენ (ყოველ შემთხვევაში განსაკუთრებით ჩემზე), ვიდრე საკურორტო სასტუმროების მოყირჭებული ფასადები. აქაურობა სოფლური მყუდროებით სუნთქავდა, სადაც თავისუფლად შეიძლება ამოისუნთქო ქალაქის მტვრისა და მცხუნვარების შემდეგ.

თუმცა, ზოგიერთი ამ აგარაკთაგანი უფრო მდიდრულია, დამშვენებული ქვის სვეტებითა და ქანდაკებებით.

მანგლისის მთავარი მშვენებაა მისი ხშირი, ატეხილი ტყეები. მათი ხასხასა ნაზი სიმწვანე ატანს ფანჯრებსა და აივნებზე, დაკიდულია სახურავების შვერილებზე. მთელი მანგლისი დაბურულია, გადახურული და მორთული მსუყე ფოთლებით და გამსჭვალულია ყვავილების სურნელებით. ზამთრობით აქ ჯარი დგას, ზაფხულობით კი ეს მყუდრო ადგილები ივსება თბილისელი თუ ევროპელი სტუმრებით, რომლებიც აქ ჩამოდიან, რათა აღიდგინონ ძალ-ღონე ჯანსაღ, სუფთა ჰაერზე. იგემონ იდიალური სიყვარული, ისუნთქონ ფიჭვნარის სურნელი და სრულად აღიქვან სოფლური ბუნების პირველყოფილი მშვენიერება.

მანგლისის მდებარეობა მართლაც საარაკოა. მას გარს შემოსჯარვია ნათელი, მხიარული ტყეებითა და დაბურული წიწვნარით დაფარული საოცარი მთები და მწვერვალები. საღამოს გადაიკარა, დასავლეთი აელვარდა, გზა განვაგრძეთ თეთრი წყაროსაკენ. ეს მგზავრობა გუშინდელის სრული საპირისპირო იყო. არასდროს დამავიწყდება აქ განცდილი შთაბეჭდილება. იმედად მესახება.

ღამით ჩემმა სხეულმა სავსებით აღიდგინა ძალ-ღონე. გუშინდელმა წამებამ გამოცდილება შემძინა. ახლა უნაგირზე უშიშრად ვიჯექი და ამაყად დავცქეროდი უნაგირის კოტას, რომელიც დღეს სრულიად ზედმეტ ნივთად მეჩვენებოდა.

მანგლისის მერე გავიარეთ რუსი ყოფილი ჯარისკაცების სოფელი **„სლობოდკა"**, იქაურობა სანიმუშო სისუფთავით გამოირჩეოდა. სოფლის თავში დაგვიხვდა უბრალო, სამად სამი ლატნისაგან შემდგარი ჭიშკარი, რომლის ზედა ხარიხა მორთული იყო თივის ბღუჯით.

აქედან ვიწრო გზით შევუყევით აქოჩრილ ფერდობს, მალე ბუჩქნარი მშვენიერმა ხშირმა ტყემ შეცვალა. ნეტავი კი შეეძლებოდეს ვინმეს ამ უმწიკვლო მშვენიერების ასახვა.

დარწმუნებული ვარ, ადამიანის ვერავითარი გემოვნება ვერ შექმნიდა ამ უსწორმასწორო, ღრანტე ადგილზე, მანგლისსა და თეთრიწყაროს შუა, უფრო ლამაზ პარკს, ვიდრე ბუნებამ შექმნა აქ თავისი ჯადოქრობით და ღვთით ნაბოძები სილამაზის გრძნობით.

თარგმანი ალ. კაკულიასი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ოღონდ კი, მარგველ, შენ გქონდეს ნორმალური სექსი!

## ღიმილისმომგვრელი სტრიქონები!

ძალიან საინტერესო დღეები მივაბარეთ წარსულს. კვირის მთავარი თემები იყო ფარული ჩანაწერები, უნივერსიტეტის მოვლენები და ქართულ-ოსური პირობითი საზღვრის გორისკენ გადმოადგილება. გაეროს, ევროკავშირისა და გორის თვითმმართველობა აღშფოთდა, მაგრამ არა ისე, როგორც სექსმა და უნივერსიტეტმა აგვიდუღა მოთმინება.

რას ჰქვია, ფარულ ჩანაწერზე საინფორმაციო სააგენტო თუნდაც ირიბად ხმას იღებსო და იუსტიციის მინისტრმა, მაგ სააგენტოს ბოიკოტს გამოვუცხადებო. ცალკე **"გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" – "რუსთავი 2"** ერთ მუშტად დადგა უნიფხვო დედაკაცების პირობითი ნიფხვების სადარაჯოზე (დაავიწყდათ, ეთერით ნაჩვენები ნიფხვისამარა შალიკიანი, მაშინდელ მთავარ პროკურორ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გორში ბორდელის **"აბორდაჟით აღების"** ფაქტი...) და **"ენჯეოებმა"** ცალკე გამოაცოცხლეს **"ეს შენ გეხება"**.

თვით გაწონასწორებული კვირიკაშვილიც კი ვერ ფარავდა **"აღშფრთოვანებას"** და თითქმის მთელი მინისტრთა კაბინეტი აჰყვა მჯიღების მკერდში ცემაში. რასაკვირველია, განათლების მინისტრმაც წარბშეურხელად გამოხატა პროტესტი და მერე, მოგვიანებით (სამუშაო საათების დასრულების მერე – კარგად დაიმახსოვრეთ, უმადურებო!) უნივერსიტეტსაც მიაკითხა. მართალია, უშედეგოდ, მაგრამ ხომ შეიწუხა თავი? ამიტომაც ეკუთვნის სახელფასო დანამატი! კიდევ იმისთვისაც, ორი მრჩეველი რომ ჰყავსო... თითქმის 35 ათასი ლარი მიდის ამ მრჩეველთა ჯიბეში ხელფასის სახით და რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ან არაადეკვატური ტესტირება ჩაუტარონ მასწავლებლებს, ან კიდევ – რაღაც გაუგებარ სქემაში ჩართონ მორჩილი ელექტორატი?

ზნეობისა და ადამიანთა უფლებათა სადარაჯოზე მდგომებმა ხელისუფლებას შეჰყვირეს: პოლიტიკურ ძალთა დისკრედიტაციას ნუ ცდილობთ, თორემ მიიღებთ სექსუალურ რევოლუციას! ვერ ეღირსება ბიძინა ჩვენს ზნეობრივ სიკვდილსო!

ღარიბაანთ ბიჭის კადრების წმენდა დაიწყო წინასაარჩევნოდ, გუბერნატორებით დაიწყეს და სოფლის გამგებლებით დაამთავრებენო! ცალკე ეს გვაქვს სადარდებელი! ვიღაც თვლის, რომ **"ქართული ოცნების"** დისკრედიტაციისთვის ამოქმედდა კონოსტუდია-**სუს**კანტორა **"მეგის ქარდავა ფიქჩერსი"** და რაღა დისკრედიტაცია სჭირდება ამ კოალიციას, როცა **თოფაძე ხიდაშელს** ადანაშაულებს, **მეჭიაური** რესპუბლიკურ პარტიას იარებს უღრმავებს და ეკონომიკა ლარივით ნულისკენ მიისწრაფვის (უკანასკნელ პერიოდში კი შეინიშნება ლარის გამყარების ტენდენცია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ძველ ნიშნულს არასოდეს დაუბრუნდება და ჩვენი პენსიონერების პენსიებიც, თუ სამუდამოდ არა, კარგა ხანს მაინც ვერ გაუტოლდება 100 დოლარის ექვივალენტურ თანხას)! მავთულხლართების გადმოწევის საკითხი დიდად არ გვაღელვებს! რადგან ქართველ ხალხს აშკარად ურჩევნია მოვიდეს ზნეობრივად სუფთა რუსეთი, ოღონდ ნუ იქნება გათახსირებული დასავლეთი (ეს უკვე მხოლოდ ლევან ვასაძის აქსიომა არაა და სწორედ ეს აფორიაქებთ ქართველ ლიბერასტებს და მათ მფარველ ევროამერიკელებს).

რამდენი უნდა იდარდოს კაცმა? ოდესაში გუბერნატორ მიხეილ (გარეგინ) სააკიანცის წინააღმდეგ ქართველი **"ზუნტოვშიკების"** ექსპორტი იწყება და მას კიდევ სიკვდილის გარდა ვერაფერი შეაჩერებსო, ამბობენ უერთგულესი მიშისტები (**"გირჩელებს"** ჯერ არ უთქვამთ ასეთი რამ?! თუმცა, რა გასაკვირია პოლიტიკური აბრაკადაბრობა იმ ხალხისაგან, რომელთაც ისიც კი არ იციან, რომ მათი პარტიის სახელწოდება ნაღდი ქართულით **"გირჩაა"** და არა **"გირჩი"**).

გორში **"მიცვალებულის"** აღდგენა დაიწყეს – პოლიტიკური თვალსაზრისით, თორემ ეგ რომ შეიძლებოდეს, სტალინს გააცოცხლებდნენ და იქვე დახვრეტდნენ! აბა, **"წარსულს თუ არ ვებრძოლეთ, მომავალი რა სადარდელია?"**

**"მაესტროს"** საკითხს თავი ვერა და ვერ მოება. იქით ქიბარ ხალვაშს ჩაუარა (დროებით) **"რუსთავი 2"**-ის დაბრუნების იმედმა და აქეთ – გაჩეჩილაძეებს (მათაც – დროებით) არ ეღირსათ ტელეიმპერატორობა!

**"ოდეერების"** ინსტიტუტს ვერ ელევა ვერც ერთი ხელისუფლება. ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ რას ფიქრობს, ვინ რას ლაპარაკობს და ვის როგორი სექსი აქვს? 69 პოზა ცნობილია, მაგრამ თუ იცით პოზა №41? არ იცით? მოიძიეთ ინტერნეტით და მოსინჯეთ! სექსში აუცილებელია მრავალფეროვნება (ამომრჩეველო, ნუ ჩამორჩები ფერადოვნებაში პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომელმაც კახპების, მამათმავლებისა და ლესბოსელების დასაცავად თავი სექსუალურ გიგანტად წარმოუდგინა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით: **"მე ძალიან ძლიერი სექსი მაქვს"**-ო, მაგრამ მთავარი არ დაუზუსტებია: იგი სხვებს, თუ სხვები – მას!). მეუფე სპირიდონმა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ გაკეთებული განცხადების გამო მარგველაშვილზე თქვა:

**"წარმოიდგინეთ, სახელმწიფოს მეთაური გამოდის ტელევიზორში და ამბობს: მე ძალიან მდიდარი სექსი მქონდაო, მაქვს და მექნებაო. რა შეიძლება ამაზე ვთქვათ? არაფრით არ არის ეს სახელმწიფოს მეთაურის ლაპარაკი. როგორ შეიძლება ეს შეადარო ჩვენი დიდი მეფეების ლაპარაკს. ეს არის საროსკიპოს, ანუ ბარდელის მენეჯერის, სუტენიორის ლაპარაკი და მისი ტერმინოლოგია. ხალხი უნდა გავაფრთხილოთ, რომ არ მოუსმინონ ასეთ სიბილწეს. თუ არ იქნება ხელისუფლება ისეთი როგორიც ღმერთს მოსწონს, ჩვენს დავისჯებით პირველ რიგში, ქართველ ხალხი, რადგან ჩვენ ავირჩიეთ ის. როდესაც არჩევნები იქნება, არაფრის დიდებით არ მიუშვათ ხელისუფლებაში ის ხალხი, ვინც გარყვნილია. თორემ გახსოვდეთ, რომ ღვთის წინაშე ერს მოეკითხება".**

მოკლედ, რატომ არის ამდენი წვერგაუპარსავი სტუდენტი უნივერსიტეტში? ამის გამო, სასწრაფოდ მოსაცილებელია რექტორი, სამეცნიერო საბჭო და კანცლერობის უკვე ყოფილი მსურველი გაფრინდაშვილიც! იყოს კარგი სტუდენტური თვითმმართველობა, სხვა თუ არაფერი, იყიდოს წვერსაპარსები სტუდენტებისთვის და თავი დაანებონ ტრენინგებს (მართლა სჯობს ასე არაფრისმაქნის ლაქლაქ-ტრენინგებს)!

p. s. *პარტია და უშიშროება კი გვიყურებს სექსის დროს, მაგრამ აქვე მცირე პროვოკაციული რეექსკურსი: ქალთა საერთაშორისო კონგრესი ტარდება ქუთაისში. კონგრესის სპიკერმა გამოაცხადა, ქალწულები მარცხნივ დასხედით, გათხოვილები – მარჯვნივო. ნაზიკამ იკითხა: ბოზები საით დავსხდეთ, პატივცემულოო? – თქვენ პრეზიდიუმში ამობრძანდით, მაგათთან დაჯდომას როგორ გაკადრებთო!..*

*ფასობს ეს პროფესია და ნუ ეცდებით მის გაუფასურებას!*

პროვოკატორი №41/5 საარჩევნო აუდიტორიიდან

# სიტყვები უძლებენ ათასწლეულებს — მისტიური ნოსირი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

თუ ქართული ენა ოპიზელ მამათა მიერ შეიქმნა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართული სიტყვების ძირები მეგრულით იშიფრებოდეს და ჩვენს ლექსიკონში მოცემული ქართული სიტყვების განმარტებებიც ამის დასტური უნდა იყოს.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ ლექსიკონზე:

**აბანო** – ასევე რუსული Баня და მეგრული ბუნა (დასხმა). აბანო და ბანაობა ასოცირდება წყლის დასხმასთან.

**ალეგორია** – [ბერძ. ალლეგორია] – ქარაგმით გამოთქმა აზრისა. როგორც ვხედავთ, თვითონ ეს სიტყვა ბერძნულში განმარტებული არაა. ქილეგორე-ალეგორე მეგრულად ნიშნავს **"მოძებნე"** ანუ მოძებნე – მიაგენი, რაც ესატყვისება ამ სიტყვის მნიშვნელობას.

**ამური** – [ფრანგ. მოურ, ლათ. ამორ სიყვარული] – რომაულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი. ჰამო – რე (ამო-რე) – რაც მეგრულად ნიშნავს **"ტკბილი არი"** – მართლაც სიყვარული ტკბილია.

**ამხანაგი** – ძველი ფორმაა აფხა-ნაკი რაც მეგრულად ზურგის კაცს ნიშნავს. აფხა – ზურგი – აქედან ფხა, ფხიანი, ფხანა, აფხეკა და ა.შ.

**ანაფორა** – [ბერძ. ანაპჰორა – ზევით აწევა, გამოყოფა] – ანა-ფორა, ფორუა არის დაფარვა. ანაფორა (ენა-ფორა) – ის, რითაც არის დაფარული.

**ანდაზა** – ანდა-ზა (მრავალი, ბევრი სილამაზე). მართლაც ანდაზა ხო თავად სილამაზეა, ხოლო მათი რაოდენობა ძალზედ ბევრია. ზი – ნიშნავს ლამაზს. სამეგრელოში ახლაც გაიგონებთ ლამაზზე **"რა ზიზია არისო"**. ხოლო ზა – არის მისი საწყისი ფორმა, ანუ სილამაზე.

**ანჯამა** – ქ.ე.გ.ლ. კარისა და ფანჯრის ჩამოსადები მოწყობილობა რკინისა და მეგრული განჯამალი (გასაღები). მართლაც ანჯამები არა მარტო ჩამოკიდვას ემსახურებიან, არამედ გაღება – დახურვასაც.

**ატაკა** – [ფრანგ. attague] – ფრანგულად, იტალიურად, რუსულად და სხვა ენებზე ნიშნავს თავდასხმას და მეგრულ-ქართული ტაკინი-დატაკება, ატაკუ – ეტაკება, ქატაკუ – დაეტაკა და ა.შ.

**აღორძინება** – ქ.ე.გ.ლ. – აყვავება; გაფურჩქვნა; განახლება; აღდგენა; ამ სიტყვის ფუძეა **"ძინ"**, ხოლო **"ძინა"** მეგრულად ნიშნავს მატებას, რაც შეესატყვისება ამ სიტყვის მნიშვნელობას.

**ბედნიერი** – ბედინერი, ბედი-ინერი (ბედი იმნაირი, განსხვავებული, განსაკუთრებული) რაც სემანტიკურად ეთანადება ამ სიტყვას.

**ბორკილი** – ბორკი მეგრულად ნიშნავს ფეხს. მუ ჭიჭე ბორკი ჩანს, **"რა წვრილი ფეხები აქვს"** (გ.ელიავა მეგრულ-ქართული ლექსიკონი). ბორკილს სწორედ ფეხებზე ადებენ.

**ბრძოლა** – ბუძოლია მეგრულად ნიშნავს არეულ-დარეულობას. ობუძოლაია – ბაზარი. გააფთრებული ბრძოლის სურათი ძალზედ წააგავს სწორედ ასეთ არეულ-დარეულობას (ბუძოლიას). აქედან მიიღება მებრძოლი, შებრძოლება და ა.შ.

**გალერეა** – [იტალ. gallerea დერეფანი, გვირაბი, გასასვლელი] – ამ სიტყვას გააჩნია ორი მაინც კოლხური ახსნა. გალე-რე (გარეთ არი) ან გალე-რია (გარეთ არეულობა). გალერეა არის ის ნაწილი შენობისა, რომელიც მოთავსეულია ოთახების გარეთ (გალე რე) და მეორე სწორედ გალერეაში ხდება ხალხის ინტენსიური მიმოსვლა (რია).

**გვერდი** – მეგრულად ნიშნავს ნახევარს. მაგალითად ფურცლის გვერდი, ე.ი ფურცლის ნახევარი და სხვა.

**გვირილა** – მეგრულად იტყვიან **"თოლი გვირა"**, ე.ი. ლამაზ თვალებიანი ანუ ისეთი, როგორიც არის გვირილა.

**გინოზარება** – გაცილება (ჭიშკრამდე ან ცოტა მეტით გაცილება) ძველად (და ხშირ შემთხვევაში ახლაც) აუცილებელი იყო, ვინც არ უნდა მოსულიყო და რამდენჯერადაც არ უნდა მოსულიყვნენ, მასპინძელს ის გაეცილებინა (გიგნუზარე – ბუდუკო). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სამეგრელოში ოდა სახლი ჭიშკრიდან საკმაოდ დაცილებული იყო, საკვირველი არაა, რომ ამას გამოეწვია და დაენერგა ენაში სიტყვა **"მოზარუ"** (მეზარება), მოზარუ გინოზარება. აქედან სიტყვები ზარმაცი, სიზარმაცე და სხვა.

**გნოსის** – ცოდნა, შემეცნება (ბერძნულად) და გინაფა (გინაფა) მეგრულად რაც ნიშნავს შეგრძნებას. შეგრძნება არის შემეცნებისა და ცოდნის საფუძველი. ამიტომ პირველადია შეგრძნება და მეორადია ცოდნა (შემეცნება). საბოლოოდ საფიქრელია, რომ ამ სიტყვას საფუძველია გინაფა (შეგრძნობა).

**გობი** – ქ.ე.გ.ლ. თეფშის მსგავსი დიდი ზომის ამოთლილი ან შეკრული ხის ჭურჭელი. გიობი (დაასხი), გიობუნალი (დასასხმელი). როგორც ცნობილია გობს დასაბანად იყენებდნენ, ასე, რომ მისი ეტიმოლოგია სწორედ ეს უნდა იყოს.

**გოლგოთა** – გოლა-გოთე (მთა, გორაკი – ნათელი, მზიანი, უჩრდილო, უტყეო). მართლაც გოლგოთა ასეთია (სიც!).

**გურამი** – მამაკაცის სახელია და მეგრულად ნიშნავს გულიანს. რატომღაც ხსნიან სპარსულიდან.

**გურუ** – სანსკრიტულში ნიშნავს მასწავლებელს (მაგურაფალს), და მეგრული გურაფა (სწავლება).

**დალბობა** – ლიბუ მეგრულად ნიშნავს რბილს. ე.ი. დალბობა ნიშნავს დარბილებას, რაც აზრობრივადაც სწორია.

**დაძინება** – ძვ. დაძენა, დამატება (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი); გეძინა (დამატება); და მან დასძინა (და მან დაამატა (გეუძინუ)); **"ძინ"** ძირი მეგრულია და დღესაც არის ხმარებაში. მეუძინი (მიუმატე), გეუძინი (დაამატე), მუძინი (მიუმატე) და სხვა.

**დუდუჩავა** – დუდ-უჩა-ვა (თავ-შავა), **"შავთმიანი შუმერები, "შავთმიანები"**, როგორც ისინი წარწერებში იწოდებიან, **"სემიტები არ იყვნენ"** (კ.კერამი **"ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები"** გვ. 288). სამწუხაროდ საერთოდ შესწავლილი არაა ეს კავშირები, რომლებიც არსებობდნენ შუმერულსა და კოლხურს შორის. ცნობილია ასევე გვარები ღვამიჩავა (ღოყაშავა), ტყებუჩავა (ტყავ-შავა), უჩავა (შავა), ბოკუჩავა, გარუჩავა და სხვა. ეს უკვე ცალკე თემაა განსჯისათვის.

**იმიჯი** – იმაგე (სახე, გამოსახულება) და მეგრული მეჯინა (შესახედაობა).

**ირინე** – ქალის სახელია და ბერძნულადაც ნიშნავს მშვიდობას. ირინე მეგრულად ნიშნავს დაიდგომება, იცხოვრება, იარსებება (რინა – ყოფნა, არსებობა, ცხოვრება), ეს კი საბოლოოდ გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს მშვიდობას.

**ლექსიკონი** – [ბერძ. lexikon] – როგორც ვხედავთ თვითონ სიტყვა განმარტებული არაა, თუმცა ლექსი (რექსი – **"ხარ შენ"**) ბერძნულად ნიშნავს სიტყვას. **"თავიდან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი"**. რექ-სი-კონი (ხარ შენ ისევ). ლექსიკონი არის სიტყვის ერთი ენიდან და სხვა ენაზე შესაბამისობა, ან ამ სიტყვის მნიშვნელობა (განმარტება). აქედან კი უკვე ნათელია გაგება ამ სიტყვების შინაარსისა **"ხარ შენ ისევ"**.

**ლოჯია** – [იტალ. ლოგგია] – თვითონ სიტყვა განმარტებული არაა. მეგრულად ოჯინე (ოჯინელი) ნიშნავს საყურებელს (ლოჯია მართლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საყურებელი ადგილი) და შესაბამისობაშია ამ სიტყვის მნიშვნელობასთან.

**მანერა** – [ფრანგ. maniere] – თვით სიტყვა განმარტებული არაა. მა-ინერი (მე იმნაირი, სხვაგვარი, განსაკუთრებული). მართლაც დახვეწილი, გამოკვეთილი მანერები გააჩნიათ გამორჩეულ, არაორდინალურ ადამიანებს.

**მართალი** – მა-რთა-ლი (მე ბრუნვა შერწყმა). მართლაც ის რომ ყველაფერი არის ბრუნვით შერწყმული, არის სიმართლე (მართალი).

**მაჭანკალი** – ქ.ე.გ.ლ. შუამავალი. მაჭანაფალი (დამბარებელი). მაჭანკალი არის ის პიროვნება, რომელიც იბარებს სასიძოს ან სარძლოს ერთმანეთთან შესახვედრად (მაჭანაფალი). ჭანკუა – მეგრულად გაჩარხვას ნიშნავს.

**მოდა** – [ფრანგ. მოდე] – თვითონ სიტყვა ახსნილი არაა. მოდვალა მეგრულად ნიშნავს ჩაცმას. მოდაცილი ნიშნავს კარგად ჩაცმულს, გამოპრანჭულს.

**მოკუნტული** – ფუძე **"კუნტა"** ნიშნავს მოკლეს. ე.ი. **"მოკუნტული"** გამოვა **"დამოკლებული"** რაც ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვის შინაარსს.

**მორჩილი** – ქ.ე.გ.ლ. სხვისი ნებასურვილის უხმოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად ამსრულებელი. ასეთი იყო და დღესაც არის ქართულ ოჯახში ცოლი, ანუ მეგრულად ჩილი, რაც ზის ამ სიტყვის ფუძეში. აქედან მორჩილება, მორჩილად, მორჩილებს, დაუმორჩილებლობა და სხვა.

**მუზა** – [ბერძ. მუსა] – ისევ არაა ახსნილი. მუ-ზა (რა სილამაზე). მართლაც მუზა პოეტური შთაგონების წყაროა და ის შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დიდი სილამაზე.

**მუნ** – ქ.ე.გ.ლ. ძვ. იგივეა, რაც "იქ". მართლაც მეგრულად მუნახალე, დინახალე ნიშნავს **"იქ", "შიგნით"**.

**მუსიკა** – [ლათ. მუსიცა] – მუ-ზი-კა (რა ლამაზი სული). მართლაც მუსიკაზე ლამაზ მშვენიერებას (სულს) იშვიათად თუ იპოვის ადამიანი.

**მუშმალა** – ბუშმალა. 1. მუშ-მალა (რა მალე), ის მართლაც მალე მწიფდება. 2. მუშ-მალა (რა საამო), ის მართლაც ძალიან საამოა.

**მუჭი** – მუ-ჭიჭე (რა პატარა). მუჭის ოდენა, ძალიან მცირე. მართლაც ადგილი აქვს სრულ შინაარსობრივ შესაბამისობას.

**მყუდრო** – მ-ყუდ-რო (ყუდე-სახლი). მართლაც სიმყუდროვე ყველაზე მეტად სახლში იგრძნობა.

**ოთახი** – მეგრულად ოთახუ. 1. თახუა ნიშნავს დღვებას, ოთახუ ადგილი სადაც დღვებავენ, შემდეგ კი ოთახი. 2. ათაქ-ხუ (აქ შობა), ე.ი. ადგილი სადაც შობდნენ, შემდეგ კი ოთახი.

**ორგია** – ებრაული მანძილის საზომი, ტოლია 1.85 მეტრისა. და მეგრული ორგია, გაშლილი ხელებით მინიშნებული მანძილი. მართლაც ეს მანძილი მიახლოებით შეიძლება გავუტოლოთ 1.85 მეტრს.

**ორფეოსი** – ის იყო ერთგული შეყვარებული და თვითონაც უმღერდა სიყვარულს. ყოროფა (სიყვარული) და ყოროფეოსი. **ყ** – ბგერის დაკარგვით მივიღეთ ორფეოსი (სიც!).

**ოტება** – ქ.ე.გ.ლ. ძვ. გაქცევა, განდევნა და მეგრულად რტება (გაქცევა).

**ოღონთ** – ო-ღორონთ (ო, ღმერთო). ო-ღორონთ, ო-ღოონთ, ო-ღონთ. რ-ს ამოვარდნა ჩვეულებრივია. ოღონთ, ნუ გამკიცხავთ (ო ღმერთო ნუ გამკიცხავთ), ოღონთ შემიბრალე (ო, ღმერთო, შემიბრალე). ოღონთ ეს იცოდე (ო, ღმერთო, ეს იცოდე) და ა.შ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ ამ ეტიმოლოგიის სისწორე და ამ სიტყვის მეგრული წარმომავლობა.

**ოშკი** – ცნობილი ქართული ტაძარი. ადრეული ფორმა უნდა ყოფილიყო ოშკარი (შუათანა, შუამდებარე) და ის მდებარეობდა სხვა ორ ტაძარს შორის.

**რეზინი** – [ლათ. resina ფისი] – რუსულადაც резина და მეგრული ზინდუა (ჭიმვა), რაც აზრობრივადაც ეთანადება ამ სიტყვას.

**როგორ** – როგორი – და მეგრული ოგორალი (საძებნელი). თუ როგორ უნდა გადავწყვიტოთ ესა თუ ის ამოცანა ან საქმე მართლაც საძებნელია.

**სართული** – მეგრულად იქნება ორთუალი (ო-რთუ-ალი) რაც ნიშნავს გამყოფს, გამიჯვნას. მართლაც სართულები ერთმანეთისგან გაყოფილია, გამიჯნულია.

**სკუა** – მეგრულად ნიშნავს შვილს. გინოსკუაფა კი ნიშნავს გადაფსკვნას. მამაკაცისა და დედაკაცის გადაფსკვნით მიიღება სკუა (შვილი). ან კიდევ ემბრიონი დედასთან არის ჭიპით გადაფსკვნილი (გინოსკუაფილი) და აქედან სკუა. აქედან კიდევ სკი, სკირი და სხვა. რატომღაც თვლიან ბერძნულიდან მომდინარეს, რაც ჩვენი აზრით არასწორია. კიდევ მეტი თვალსაჩინოებისათვის აქვე მოვიტანთ ამონაწერს ეპისკოპოსის კირიონის წიგნიდან "Культурная роль Иверии в истории Руси" გვ.132. "На XIII археологическом сьезде в гор. Харькове (1902г.) г. Лопатинский прочел доклад о присхождении суффиксов русского языка "ск", "ко" под влиянием одного из наречий грузинского языка – мингрельского. Суффикс "ск" существует в мигрельском языке и как слово самостоятельное скуа и означает сына, но оно употребльяется также и как составная часть сложного слова для означение происхожденния, напр. Мингрельское Илиашскуа, по – русски будет Ильинский".

**შოულ** – ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს სულს (სამშვინველს). სო-ული (სად მიდიხარ, სად წახვალ). ეს თითქმის შეკითხვაა, სად მიდის ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი სული.

**сумма** – [ლათ. სუმმა] – ჯამი. თვითონ სიტყვა განმარტებული არაა. სუმი-მა (სამი მე). ამაშია გამოხატული სამის ერთიანობა. მამა, შვილი და წმინდა სული და მთლიანობაში ეს არის ჯამი (სუმი-მა).

**სხაპა-სხუპი** – სხაპუა – მეგრულად ნიშნავს ცეკვას, ხტომას. სხაპა-სხუპით ლაპარაკი ნიშნავს ხტომა-ხტომით ანუ ჩქარ-ჩქარა ლაპარაკს.

**Танци** – ტანიშ-ცანცალი (ტანის კანკალი). მართლაც ცეკვა დაკავშირებულია და მითუმეტეს ადრე იყო დაკავშირებული ტანის კანკალთან. განსაკუთრებულად მხედველობაში გვაქვს აზიური ცეკვები.

**უმწიკვლო** – უმ-წიკ-ვლო – წიკუა მეგრულად ნიშნავს დასვრას. ხოლო უმწიკვლო დაუსვრელს ანუ წმინდანს.

**ფურია** – [ლათ – ურია]-1. ძველრომაულ მითოლოგიაში შურისძიებისა და სასჯელის სამ ღვთაებათაგან ყოველი. 2. გამძვინვარებული, ბოროტი ქალი. მეგრულად იტყვიან **"ჯგირი დო ფური"**(კარგი და ცუდი).

**ღალა** – ბეგარა და ღალა. ბეგარა იყო ფულადი, ხოლო ღალა პროდუქტებით დაკაბალება. მიჰქონდათ გლეხებისგან ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა. მიდოღალა – ღალა-წაღება.

**შეტყობინება** – შე-ტყობ-ინება – ფუძეა **"ტყობ"** რაც ნიშნავს მალულად. ადრე მალემსრბოლებს მიჰქონდათ შეტყობინება მალულად (ფარულად), რომ ისინი მტერს არ შეემჩნია.

**ჩანგალი** – ჩანაფა (ჩაყოფა) ე.ი. ჩანგალი-ჩასაყოფი. მართლაც ჩანგალს ეს ფუნქცია აკისრია. იგივე შეიძლება ითქვას ჩანთაზე.

**ჩინი** – ჩინაფა – არის ცნობა. ჩინით იცნობა (იჩინაფუ) ადამიანი. ეს ორი ცნება (ჩინი და ჩინაფა) გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. აქედანაა რუსული **чин**, ასევე სიტყვები ჩინებული, ჩინიანი, ჩინ-მენდლები, ჩინოვანი, ჩინოვნიკი და სხვა.

**წილუა** – მოკრეფა. ძველ ქართულში არის მოწილვა – ნაყოფთ მოკრეფა (საბა). აქედან ქართული წილი, მონაწილე, განაწილება და სხვა.

**ჭიპი** – ჭიჭე – პიჯი (პატარა პირი), მართლაც ჭიპი ემბრიონისთვის პატარა პირის როლს ასრულებს.

**ჭიქა** – ჭიჭე – ქა (პატარა რქა). აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სანამ ჭიქა შემოვიდოდა ხმარებაში, მის მაგივრობას პატარა რქა ეწეოდა. აქედან ჩანს აგრეთვე ამ სიტყვის დიდი ხნის ისტორია.

**ხილი** – მეგრულად ნიშნავს შობილს. ხილი შობილია მცენარისგან.

**ხურჯინი** – ხუჯი მეგრულად ნიშნავს მხარს, ხოლო ხურჯინი მხარზე გადასადებს.

შეიძლებოდა გაცილებით მეტი სიტყვების მოტანა, მაგრამ ჩვენი აზრით ესეც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩვენი წინაპრები ადრეულ ხანაში გაცილებით ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი, ვიდრე ეს დღესაა.

**ნუგზარ კვაშილავა**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ოჩამჩირიდან დევნილი შესანიშნავი პიროვნება, ბატონი**

**კონსტანტინე (კოტე) მამულია**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

# "ნაცმოძრაობაში" ახლა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს"



***"ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. "ნაცმოძრაობაში" ახლა ბრძოლა მიმდინარეობს სავარძლებისთვის – მაქსიმუმ 10-15 ადგილი შეიძლება მიიღონ პარლამენტში."***

გასულ კვირას ექსპრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის შეხედულებები საზოგადოების განსჯის საგანი გახდა. ანდრო ბარნოვი კასპის რაიონული ორგანიზაციიდან მიხეილ ბექაურის წასვლას გამოეხმაურა:

"მიშამ კასპში პარტია ჩაიბარა მაშინ, როცა იქიდან ყველა გარბოდა. კასპის ორგანიზაცია, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. ის კი იქ საკუთარი ინიციატივით მივიდა, მარტომ ათრია იმ დრომდე, ვიდრე პირდაპირი დევნისა და დაშინების საფრთხეები გადაივლიდა. ამ კაცმა და მისნაირებმა გადაარჩინეს პარტია, რომელმაც ისინი **"გამოდარებისთანავე" გარიყა".** ამ განცხადების შემდეგ ანდრო ბარნოვი თავდასხმის ობიექტი გახდა და მას ახსნა-განმარტებების გაკეთებაც კი მოუხდა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ **"ნაცმოძრაობის"** დუშეთის პარტიული ორგანიზაცია რეზიკო ოთარაშვილმაც დატოვა. მან პრესასთან საუბრისას აღნიშნა:

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. **"ნაცმოძრაობაში"** ახლა ბრძოლა მიმდინარეობს სავარძლებისთვის – მაქსიმუმ 10-15 ადგილი შეიძლება მიიღონ პარლამენტში. დიდი შანსია, ეს ადგილებიც ვერ მიიღონ. არ არის გამორიცხული, **"ნაცმოძრაობიდან"** წასულებმა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციაც შექმნან. პრობლემაა ისიც, რომ დაფინანსება საგრძნობლად შეუმცირდათ. ამიტომაც გაჩნდა რაიონულ ორგანიზაციებში პრობლემები. ფულს ვერ იღებენ ის არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც **"ნაცმოძრაობის"** ფარული მხარდამჭერები იყვნენ. შემცირებული ფული მხოლოდ იმ 10-ოდე კაცზე ნაწილდება, რომლებიც **"რუსთავი 2"**-ის ეთერით **"ნაცმოძრაობის"** პოზიციებს ახმაურებენ. გაბაშვილების, რატიანის, ბაქრაძისა და სხვათა კლანი ერთმანეთს უპირისპირდება. **ახლა "ნაცმოძრაობაში" ძაღლი პატრონს ვერ ცნობს".**

საინტერესოა, **"ნაცმოძრაობიდან"** წამოსულები ახალ პოლიტიკურ ცენტრ **"გირჩს"** შეაფარებენ თავს თუ სხვა ძალის შექმნასაც უნდა ველოდოთ? **"კვირის პალიტრას" "გირჩის"** ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაჩიძე ესაუბრა:

– ანდრო ბარნოვს **"გირჩთან"** არავითარი კავშირი არა აქვს, თუმცა ჩვენს თანამოაზრედ მიიჩნიეს, რადგან მისი შეფასებები გარკვეულწილად ჩვენსას დაემთხვა. როცა მე **"ნაცმოძრაობიდან"** წამოვედი, მიზეზებიც განვმარტე, ახლა კი მართებულად არ მიმაჩნია, რომ ყოფილი პარტიის შიდა საქმეებზე ვილაპარაკო. თუმცა ვიტყვი, რომ **"ნაცმოძრაობაში"** ახალი ხალხის მიუღებლობის პრობლემა იყო და ამაზე სააკაშვილიც ღიად ლაპარაკობს. **"ნაცმოძრაობაში"** ხშირად გაიგონებთ, ჩვენი კარი ღიააო... სინამდვილეში, კარი კი აქვთ, მაგრამ ოთახი სავსეა და შიგ ვერ შეხვალ.

**"ნაცმოძრაობაში"** ყოფნისას ჩვენ ვამბობდით, ვინც თანამდებობებზე ვიყავით, განზე გავდგეთ და ახალი წევრების მოსვლას ხელი შევუწყოთ-მეთქი. მათი მოსვლა პოლიტიკურ თანამდებობებზე შეუძლებელი გახდა და ეს იყო ჩვენი წამოსვლის მთავარი მიზეზი. ახლა უკვე **"გირჩის"** ოფისში ხორცს ვასხამთ ჩვენს იდეას.

მე და პალიკო კუბლაშვილი აღარ ვაპირებთ დეპუტატებად კენჭისყრას. ზურაბ ჯაფარიძის გარშემო, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნით არ არის დამძიმებული და საუკეთესო ეკონომიკური ხედვებიც აქვს, შეიკრიბებიან ახალი სახეები, განსაკუთრებით – ახალგაზრდები.

**– "ნაცმოძრაობის" ზოგიერთი მხარდამჭერი საარჩევნო სიაში სანდრა რულოვსისა და ანი ნადარეიშვილის შეყვანას ითხოვს...**

– "ნაცმოძრაობის" საქმეა, ვის შეიყვანს სიაში და ვის არა...

**– "ნაცმოძრაობას" "იდეების მოპარვაში" რატომ ადანაშაულებთ?**

– სამი თვის წინ დავდეთ ჩვენი პროგრამა, რომლის მიდგომები ყველა მემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკურმა პარტიამ უაპელაციოდ გამოიყენა. სახელმწიფომ რეესტრში გაუტარებელი მიწების დარეგისტრირება რომ დაიწყო, ჩვენ საგანგებო ბრიფინგი გავმართეთ და ხელისუფლებას გამოსავალიც შევთავაზეთ. რაიონებში გავედით, ხალხს ვესაუბრეთ და კანონპროექტიც მოვამზადეთ, თუ როგორ მარტივად უნდა მოხდეს მიწების რეგისტრაცია იმ გლეხებისთვის, რომლებიც, ფაქტობრივად, მას წლების განმავლობაში ფლობდნენ. ცოტა ხანში დათო ბაქრაძემ გაახმოვანა იგივე იდეა, შემდეგ კი **"ნაცმოძრაობის"** ახალი კანონპროექტი შევიდა პარლამენტში, რომლის თანაავტორებიც თურმე გიგი წერეთელი და გიორგი ღვინიაშვილი ყოფილან(?!). ამ კანონპროექტით იმავეს ამბობენ, რასაც ჩვენ და იდეების მოპარვა თუ არა, ამ ყველაფერს რა სახელი დავარქვა?! **"ასეთი პარტია უნამუსო და მატყუარაა, რომელსაც 15 კაცის პარლამენტში შეთრევის გარდა, სხვა მიზანი არ ამოძრავებს".**

**"გავიყიდე რას ნიშნავს? რომ დავანებე ყველაფერს თავი, სოფელში წავედი და მარნის მოვლით დავკავდი, ამის გამო უნდა მაკადროთ, რომ "გავიყიდე"?..**

**"ენმ" ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა")** უნდა გახსნილიყო ახალი ენერგიული ლიდერების მიმართ. ამის ნაცვლად ჩაიკეტნენ და ახალ ხალხს ყველა დონეზე დაუწყეს ბრძოლა. ის, ვინც ენთუზიასტი და **"იდეის ტიპი"** იყო, ჯერ გამოიყენეს, როგორც კი საფრთხემ გადაიარა, გვერდზე გასწიეს!..

ვისაც სახელმწიფოს ინტერესები აღელვებს, იმაზეც იფიქროს, როცა პარტია (თუნდაც 100.000 მყარი მხარდამჭერით) ცდილობს მხოლოდ ფონს გასვლას და არა ფართო მასებზე ზემოქმედებას, არც არაფერი აქვს სალაპარაკო და კონკურენტებს უნამუსოდ ჰპარავს მესიჯებს, მის წევრებს კი ოფისიდან გასვლა ეზარებათ. ასეთი პარტია მებრძოლი კი არა, უნამუსო და მატყუარა ბიუროკრატია, რომელსაც 15 კაცის პარლამენტში შეთრევის გარდა, სხვა მიზანი არ ამოძრავებს. მიმაჩნია, რომ მიშა პარტიას კი არ უნდა გამოჰკიდებოდა, არამედ უფრო ფართო მესიჯზე ეფიქრა და დიდი საზოგადოებრივი მოძრაობისთვის მიეცა გასაქანი. არც ერთ მომენტში ეს არ გააკეთა. ბოლოს, როცა მე მაინც წამოვედი პარტიიდან და განვაცხადე, საზოგადოებრივ მოძრაობას ჩავუყრი სათავეს-მეთქი, დამირეკა, ჩემი პარტიიდან რადგან წახვედი, იძულებული ვარ, ბიბლიოთეკაშიც სხვა მოვძებნოო.

...ახლა რა ხდება? სანდრა აშკარად გააქტიურდა, ბოკერია კი აცხადებს, სიაში სანდრა არ იქნებაო. დაპირისპირებას ვერ ხედავთ?! თუმცა ამ შემთხვევაში ბოკერიას გავამართლებ, რადგან არაფორმალური მმართველობა რომ არ გვინდა, ბიძინას იმიტომ ვებრძვით".

# საკრედიტო "მონობა" – 35 ათასი ოჯახი ბინის დაკარგვის საფრთხის წინ

უკიდურესად მძიმეა 35 ათასი ოჯახის ბედი, რომელთაც იპოთეკური სესხების უზრუნველსაყოფად კომერციულ ბანკებს უძრავი ქონება მისცეს. 35 ათასი ოჯახი დაახლოებით 120.000 ადამიანია, და მათგან ბევრს ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრება ლარის მკვეთრი დევალვაციის გამო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც საბანკო სესხები უცხოურ ვალუტაში აქვთ აღებული. თუ ერთი წლის წინ 100 დოლარის შესაძენად 170 ლარი კმაროდა, იანვრის ბოლო დღეებში 250 ლარიც არ ეყოფოდა. ბანკის მოვალეების მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა, ვალს ვალი ედება, ხშირად – მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთაც უკიდურესად კაბალური პირობები აქვთ და მათ მარწუხებში მოხვედრილ ადამიანს საკრედიტო **"მონობიდან"** თავის დაღწევის მხოლოდ ერთი შანსი რჩება – თუ სიღატაკეს ამჯობინებს, ყველაფერს დაკარგავს და ღია ცის ქვეშ დარჩება.

ჩემი კოლეგა და მეგობარი, რომელიც ერთ-ერთ გამომცემლობაში მუშაობს და ერთი შეხედვით, სოლიდური ხელფასიც აქვს, ვალების დასაფარად სამსახურის მიტოვებას და რაღაც ხნით უცხოეთში მოსამსახურედ წასვლას აპირებს. მისი ხელფასი – 2.000 ლარი – კარგა ხანია, 1.000 დოლარიც აღარ არის, არადა, ბანკში ყოველთვიურად 800 დოლარს იხდის. წინააღმდეგ შემთხვევაში, იპოთეკური კრედიტის გამო დაგირავებულ ბინას დაკარგავს.

**გიორგი პატარიძე, ანალიტიკოსი:** – საქართველოს მოქალაქეებს არ აინტერესებთ, რა შიდა ან გარე ფაქტორებმა გამოიწვია ლარის და შესაბამისად, მათი ცხოვრების გაუკუღმართება. ეს ლოგიკურია, მით უფრო მაშინ, როცა კრიზისში მყოფი ქვეყნები ახერხებენ გამოსავლის მოძებნასა და საკუთარი მოქალაქეების დაცვას. ყაზახეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სახელმწიფო ბანკებში მოსახლეობის ანაბრებს დააზღვევს. საქართველოში კი, ვისაც ლარში ჰქონდა დანაზოგი, დაუცველი აღმოჩნდა. ფულადი ქონება განახევრდა და დღითი დღე კარგავს დაგროვების ფუნქციას. უკიდურესად მძიმეა 35 ათასი ოჯახის ბედი, რომელთაც იპოთეკური სესხების უზრუნველსაყოფად კომერციულ ბანკებს უძრავი ქონება მისცეს. 35 ათასი ოჯახი დაახლოებით 120.000 ადამიანია, ანუ ჩვენი მოსახლეობის 3% და მათგან ბევრს ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრება. აღარაფერს ვამბობ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ტყვეობაში მყოფთა შესახებ. ზოგიერთი ასეთი ორგანიზაცია არც მალავს, რომ ყოველთვიურად მევალეების ასობით ბინის გაყიდვა უწევთ. არავინ დაობს, რომ ვალი უნდა დაიფაროს, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია, მოსახლეობას თუნდაც იმით დაეხმაროს, რომ დოლარით აღებული სესხი ლარში გადაიტანონ. შეიძლება სტრუქტურის შექმნა, რომელიც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოვალეებს მისცემდა 20-30-წლიან კრედიტს ლარში, შედარებით დაბალი პროცენტით, ისე, რომ სესხი ინფლაციასაც დასწეოდა. ეს გახდებოდა ხალხისთვის სოციალური დაცვის გარანტი, რომ მათ ხვალ-ზეგ სააღმსრულებლო ბიურო ბინიდან გამოსაყრელად არ მიაკითხავდა.

საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ 2016-2017 წლებში საქართველოდან მიგრაციის ახალი ტალღა აგორდება, ხალხი იძულებული გახდება უცხოეთში წავიდეს, რათა იქიდან გამოგზავნოს უცხოური ვალუტა ოჯახების გადასარჩენად.

მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში თემურ ბასილია აცხადებს, რომ პრობლემა, რომელიც დღეს უდგას საქართველოს, მოულოდნელად არ გაჩენილა. მთავრობასა და ეროვნულ ბანკს მოსალოდნელი პროცესების შესახებ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, 2015 წლის იანვარში, აფრთხილებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

**თემურ ბასილია:** – ფონდი დოლარიზაციას უმთავრეს საფრთხედ მიიჩნევდა საბანკო რისკებს შორის და ამასთან, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს მოუწოდებდა, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები. სამწუხაროდ, მათ არაფერი გაუკეთებიათ პრობლემების მოსაგვარებლად. მეტიც, უმაღლესი თანამდებობის პირების ბოლოდროინდელი განცხადებებით ჩანს, რომ ისინი ამჯერადაც არ აპირებენ რამის გაკეთებას და ცდილობენ, პრობლემები საგარეო ფაქტორებს დააბრალონ. არადა, პრობლემები ექმნებათ ნავთობის მომპოვებელ და არა ნავთობიმპორტიორ ქვეყნებს. თუ ობიექტურად შევხედავთ ვითარებას ნავთობპროდუქტების ბაზარზე, ის საქართველოსთვის მომგებიანია. 1 წლის წინ 1 ტონა ნავთობის ფასი 100 დოლარზე მეტი იყო, ახლა იგი დაახლოებით 30 დოლარია; ანუ წლეულს ნავთობპროდუქტების იმპორტისთვის საქართველოს დაახლოებით სამჯერ ნაკლები უცხოური ვალუტა დასჭირდება. ეს კი რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ეკონომიაა ქვეყნისთვის. ამან მხოლოდ დადებითად შეიძლება იმოქმედოს როგორც ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე, ისე – ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. ლარის დევალვაცია, ძირითადად, გამოწვეულია ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკითა და მთავრობის უმოქმედობით, ამიტომაც ამ პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებლობაც მათ უნდა აიღონ. პრობლემის მოგვარების წყარო კი შეიძლება იყოს 2015 წელს კომერციული ბანკების მიერ მიღებული წმინდა მოგება, რომელიც 84 მილიონი ლარით გაიზარდა და ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა.

გასულ წელს ხელისუფლებამ საბანკო სექტორს სთხოვა, შეღავათი გაეწიათ ლარის დევალვაციით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის. ბანკებმაც გამოაცხადეს, რომ მოახდენდნენ ასეთი სესხების რესტრუქტურიზაციას, რეალურად კი სესხები ისე გადაავადეს, რომ ბანკებს არაფერი წაუგიათ, ხოლო მოქალაქეებს საპროცენტო განაკვეთის სახით უფრო მეტი თანხა აქვთ გადასახდელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკებს ისე აქვთ აწყობილი სესხების დაბრუნების სისტემა, რომ მოგებას თავიდანვე იღებენ. ამიტომაც, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შეუძლიათ მიმართონ ბანკებს, რომ სესხების გამო მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს შეუმცირონ საპროცენტო განაკვეთი, ან მხოლოდ ძირითადი თანხა დააფარვინონ.

პროფესორი დავით ასლანიშვილი აცხადებს, რომ კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფოს, კომერციული ბანკების მოვალე მოქალაქეების მიმართ სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინოს. თუმცა, მისი აზრით, ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ თუ ლარის ვარდნა ასეთი ტემპით გაგრძელდა, სიტუაციის თვითდინებაზე მიშვება დაუშვებელია.

**დავით ასლანიშვილი:** – აშშ-ში ბანკების მევალე მოქალაქეებმა ფულის გადახდა რომ ვეღარ შეძლეს, ხელისუფლებამ დაბეჭდა ფასიანი ქაღალდები, ეკონომიკაშიც გაუშვა დოლარის ემისია და თავის თავზე აიღო მოქალაქეების საბანკო პრობლემები, რომელთაც **"ტოქსიკური აქტივები"** დაარქვა. მსგავსი რამ გააკეთა ევროკავშირმაც. სამწუხაროდ, საქართველო არც ამერიკაა და ევროპაც ვერ გახდა ჯერჯერობით.

ჩვენ ისიც ვერ შევძელით, ლარს ჰქონოდა ფულის სამივე სრულფასოვანი ფუნქცია: გაცვლის, დაგროვებისა და ღირებულების საზომის. გაცვლის ფუნქცია მეტ-ნაკლებად აქვს, ღირებულების საზომიც არის, მაგრამ ბოლო მოვლენებმაც ცხადყო, რომ ლარმა დაკარგა დაგროვების ფუნქცია. არ ვიცი, რას მოიფიქრებს მთავრობა – მსხვილ საერთაშორისო პროექტებს დაიხმარს თუ სხვა სწრაფ ნაბიჯებს გადადგამს, მაგრამ აშკარაა, რომ დრო არ იცდის და ლარის სანდოობის აღდგენაზე სასწრაფოდ უნდა იზრუნოს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი მაინც უნდა შექმნას, ინფლაციაზე მოდიფიცირებული ინსტრუმენტი უნდა შემოიღოს, ადმინისტრირება გაამკაცროს, კოეფიციენტები გაზარდოს და კიდევ მრავალი სხვა ღონისძიება გაატაროს. არ შეიძლება საბანკო სესხებით წელში გაწყვეტილი მოქალაქეების პრობლემის ცალკე განხილვა ან მის მოსაგვარებლად ცალკე მეთოდებით ბრძოლა. პრობლემა კომპლექსურია და ჯაჭვურად ასხმული.

ეკა ლომიძე

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ტალანტი, რომელიც დავკარგეთ — ვიტალი დარასელია მოსკოვის "ტორპედოში"!



გახსოვთ უმცროსი ვიტალი დარასელია? 30 წლის ასაკში, ქრონიკული ტრავმის მომიზეზებით, 2009 წლის იანვარში თბილისის **"ლოკომოტივიდან"** წავიდა და შემდეგ კარიერაც დაასრულა.

მამა-შვილი დარასელიები ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი მშვენებანი გახლდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ბედი აშკარად არ სწყალობდა.

უფროსმა ვიტალი დარასელიამ კარიერის ძირითადი ნაწილი თბილისის **"დინამოში"** გაატარა და გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა უეფა-ს თასების მფლობელთა თასის 1980-81 წლების გათამაშების ფინალში, მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, გატანილი გოლით. რამაც გამარჯვება მოგვიტანა.

ევროპის თასის მფლობელთა თასის მოპოვებიდან ერთი წლის შემდეგ ვიტალი დარასელია (უფროსი) ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში და მოუნელებელი სევდა დაგვიტოვა, ქართულ ფეხბურთი კი დიდი ხნით (თუ სამუდამოდ არა) დაემშვიდობა ძველ დიდებას.

2007 წელს მისი დაღუპვიდან 25 წლისთავზე ვეტერანებმა მის პატივსაცემად მატჩი გამართეს მისი სახელობის ოჩამჩირეს სტადიონზე.

მისი შვილი, ვიტალი დარასელია უმცროსი ასევე ფეხბურთელი იყო, ახლა მწვრთნელია.

გაუგებარი მიზეზების გამო უმცროს დარასელიას არც მანამდე სწყალობდნენ. არადა, ძალიან ცოტა ფეხბურთელი მოიძებნებოდა მაშინ და მით უმეტეს ახლა, ვისაც მისნაირად თამაშის საკუთარ თავზე აღებისა და შეხვედრის ბედის შემოტრიალების უნარი ჰქონდა — დღეს ქართულ ფეხბურთში ასეთი მოთამაშე სანატრელია.

უმცროსი დარასელია, მამის მსგავსად, შემტევი ნახევარმცველი იყო. 2002 წლის დასაწყისში კიევის ცსკა-დან თბილისის **"დინამოში"** გადავიდა და კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ამ კლუბში გაატარა. მაშინ მეორე წრიდან გუნდს სათავეში ხორვატი ივო შუშაკი ჩაუდგა, რომელთან ერთადაც გუნდმა ჩემპიონის ოქროს მედლები დაიბრუნა, მოიგო საქართველოს თასი, 2004 წელს კი **"თანამეგობრობის თასი"** და ეს ყველაფერი ძალიან ლამაზად და დამაჯერებლად გააკეთა...

**"დინამოში"** თამაშობდნენ: დათო გვარამაძე, კარლოს დე როჩა, მამუკა წერეთელი, გიორგი შაშიაშვილი, არჩილ სახვაძე, გიორგი ანჩაბაძე, მიხეილ ბობოხიძე, ლადო ახალაია, ლადო ბურდული, რატი ალექსიძე, სანდრო იაშვილი. მაგრამ **"დინამოს"** სული და გული დარასელია იყო — ლეგენდარული ფეხბურთელის ვაჟმა შესანიშნავად ითამაშა, ტურნირის ბომბარდირიც გახდა, საუკეთესო ფეხბურთელიც და იმ დროს აღმოსავლეთ ევროპის სატრანსფერო ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ მოთამაშედ აღიარეს. თუმცა საბოლოოდ რუსეთის პრემიერლიგის ვლადიკავკაზის **"ალანიაში"** გადავიდა.

მაგრამ დარასელიას საქართველოს ნაკრებში მაინც არ სწყალობდნენ. ორიოდე უმნიშვნელო მატჩზე მიიწვიეს, თავის გამოჩენის შანსი არ მისცეს და რეალურად, სწორედ ამან განაპირობა, ფეხბურთს თავი ნაადრევად რომ დაანება. არადა, **"ალანიაში"** პლეიმეიკერის პოზიციაზე საუკეთესოთა შორის ხვდებოდა და უეფას თასის მფლობელ მოსკოვის ცსკა-ს ერთხელ პირადად მოუგო — გოლი და 3 საგოლე გადაცემა ჩაიწერა.

ამბობენ, ბუნება გენიოსების შვილებზე ისვენებსო, მაგრამ უმცროს დარასელიაზე გამონაკლისი დაუშვა — დიდი ფეხბურთის თამაში მასაც შეეძლო. ჯერ კიდევ კიევის **"ბორისფენ-ცსკაში"** თამაშის დროს იტალიის სერია **"ა"**-ს **"რეჯანა"** იწვევდა და რომ არა უკრაინელების მეტისმეტი მადა — 3 მილიონი დოლარი მოითხოვეს, იტალიელები კი მილიონს უხდიდნენ, — სერია **"ა"**-ში მესამე ჩვენებურიც ითამაშებდა.

შესაძლოა, ვიტალი უმნიშვნელო შეხვედრას ზერელედ მოკიდებოდა, მაგრამ პრინციპულ მატჩს — არასოდეს! მეტიც, გადამწყვეტ მომენტში ავლენდა ხასიათს, მებრძოლ სულს და ლიდერის თვისებებს. მაგრამ ჭორებს აყოლილმა საფეხბურთო სამყარომ მასზე თვალები დახუჭა და კიდევ ერთი ტალანტი დავკარგეთ.

რამ გაგვახსენა ვიტალი დარასელია? კარიერის შემდეგ მოსკოვში დასახლდა და ფეხბურთს გასართობად თამაშობდა. ახლა კი, 33 წლის ასაკში, ფუტსალში რუსეთის ჩემპიონატის მონაწილე მოსკოვის **"ტორპედოში"** ჩაირიცხა. ოღონდ ეს გუნდი არა კლასიკური, არამედ 8/8-ზე ფუტსალის ჩემპიონატში მონაწილეობს.

როგორც დარასელია უმცროსმა გვითხრა, ფეხბურთში დაბრუნებით კმაყოფილია და ბურთის გორებას კიდევ დიდხანს აპირებს.

არადა, კიდევ დიდხანს შეეძლო თამაში და სარგებლობის მოტანა, მაგრამ მიხეილ ყაველაშვილმა მოხდენილად და სამართლიანად თქვა, საქართველოში როი კინი (ანუ ხულიგანი ფეხბურთელი) რომ დაბადებულიყო, ფეხბურთს არ ათამაშებდნენო.

არადა, ფეხბურთს სწორედ დარასელიასნაირი მეომრები, ხასიათის და ჟინის მქონე კაცები თამაშობენ, წესიერი ბიჭები მათ მხოლოდ ეხმარებიან.

აფხაზი ფეხბურთელების დიდ წვლილზე ქართული ფეხბურთის აღორძინების საქმეში, მოგვითხრობენ ზუგდიდის სპორტის მუზეუმში შემონახული მასალები. მუზეუმში აფხაზი სპორტსმენებისთვის ჯერ ცალკე კუთხე არ შექმნილა. თუმცა განყოფილების დაფუძნება იგეგმება, რისთვისაც მასალებს იძიებენ. ამჟამად აქ მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათს ნახავთ, რომელიც გვიყვება საერთო ისტორიაზე ქართველებთან, ერთად მიღწეულ წარმატებებზე.

მუზეუმის ხელმძღვანელის როლანდ მაქაცარიას თქმით, აფხაზ სპორტსმენებთან დაკავშირებული უნიკალური ნივთების ნაწილი დაიკარგა, ნაწილი კი კერძო პირებთან ინახება, მათ შორის მედლები, დიპლომები, სუვენირები, რომელთა თავმოყრასაც აპირებს.

როლანდ მაქაცარია ზუგდიდის **„დინამოს"** ყოფილი ფეხბურთელია. ამბობს, რომ მისი თანაგუნდელები ეთნიკურად აფხაზებიც იყვნენ.

**„ვალერი დელბა, ტოტო ხიბა, ვალერ ეზუგბაია. ეთერია, ძიაპშბა — ესენი ძირითადად აქ მოდიოდნენ. ერთმანეთის სახლში გვეძინა, ერთად ვჭამდით, სტუმარ-მასპინძლობა ერთნაირი ვიცით მეგრელებმა და აფხაზებმა. ჩვენს ძმობაში შენ აფხაზი, მე მეგრელი, შენ აფხაზი მე ქართველი, ესეთი რაღაც არ ყოფილა",** — იხსენებს როლანდ მაქაცარია და დასძენს, რომ მთლიანობაში დაახლოებით აფხაზეთიდან ზუგდიდის **„დინამოში"** 30 ფეხბურთელი იყო, მათგან 5-6 ეთნიკურად აფხაზი.

მუზეუმის ხელმძღვანელი მიჩვენებს 1958 წლით დათარიღებული თბილისის **„დინამოს"** ფოტოს, რომელზეც ნიაზ ძიაპშბა სხვა ქართველი ფეხბურთელების — მესხის, კოტრიკაძის, ღოღობერიძის გვერდით დგას. ძიაპშბა ცენტრალური მცველის პოზიციაზე თითქმის ათი წლის მანძილზე გუნდში შეუცვლელად თამაშობდა.

**„ჟინიანები იყვნენ, ძალიან ტექნიკურები. ბოლომდე იხარჯებოდნენ",** — იხსენებს ყოფილი ფეხბურთელი.

**„ვიტალი დარასელია ყველამ ხომ ვიცით ოჩამჩირიდან იყო. ოჩამჩირელმა ნოდარ ზვამბაიამ და მე ერთად მოვიპოვეთ საქართველოს ჩემპიონობა, საქართველოს თასი. ვალერი დელბას გასვენებაში ვიყავი, 1972 თუ 1973 წელი იყო. ტოტო ხიბა, დანარჩენები არ ვიცი ამ 20 წლის მანძილზე თუ არიან ცოცხლები",** — ამბობს როლანდ მაქაცარია და გვიჩვენებს ზუგდიდის სტადიონის ფოტოს, სადაც ერთად წლების მანძილზე უთამაშიათ.

მისი თქმით, აფხაზები კარგი ცხენოსნებიც იყვნენ. ახსოვს მათი ყიჟინა მარულას დროს, ჯირითობისას გუდაუთაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გალსა თუ ზუგდიდში.

**„ისეთი ჭიდილი იყო აფხაზეთს და სამეგრელოს შორის, სრულიად საქართველოს შორის, არ მინდა ეს დაიკარგოს",** — გვითხრა როლანდ მაქაცარიამ და საუბრისას აფხაზი ბადროს მტყორცნელი, საიდა გუმბა გაიხსენა:

**„ჩემთვის არ არის მთავარი აფხაზეთის ტერიტორია დავიბრუნოთ, ჩემთვის მთავარია აფხაზი ერი და ჩვენ ვიყოთ ერთად და ჩვენი მეგობრობა დავიბრუნოთ, ჩვენი ძმობა დავიბრუნოთ".**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის მუზეუმში ასობით ექსპონატია დაცული, მათ შორის ყველაზე ძველი 1951-1952 წლების ფეხბურთის აფიშა.

ნინო თოლორაია

---

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ — 557.324.374.

---

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ — 557.324.374

---

## იუმორი

სვანს ცხენი დაეკარგა. ბევრი ეძება, ძალიან იდარდა და ბოლოს გული დაიმშვიდა — კიდევ კარგი, ზედ არ ვიჯექი...

* * *

— გუშინ ცოლი ვითხოვე! — ამბობს კახელი.
— გილოცავ! რა ჰქვია? — ეკითხება მეგობარი.
— რექსონა!
— ეგ რა სახელია?
— ამას წინათ ტელევიზორმა გამოაცხადა: რექსონა ყველას სჯობია, არასოდეს არ გიღალატებსო!

* * *

თვითმფრინავის სალონში ჯარისკაცი დგას და გადმოსახტომად ემზადება.
— პარაშუტის მოკიდება არ დაგავიწყდეს! — აფრთხილებს სერჟანტი.
— პარაშუტი აუცილებელია? — ეკითხება ჯარისკაცი.
— აბა რა, ვერ ხედავ როგორ ძლიერად წვიმს?

* * *

ავტობუსში საშინელი ჭედვაა.
— ცოტაც მოითმინეთ და მეოთხე გაჩერებაზე ჩავდივარ.
— ეგ კარგია, მაგრამ ჩემი ფეხიდან რომელ გაჩერებაზე ჩამოხვალ? — კნავის მეზობელი მგზავრი.

---

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟიშვილი ზეზვა.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

---

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge